2013 წელი, 11 - 17 აპრილი
ფასი 1 ლარი 30 თეთრი

# ახალი განათლება

№15 (609) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge



## 2013-2014 სასწავლო წლისათვის, საქართველოს მასშტაბით, 2084 საჯარო სკოლის 650 000 ათასი მოსწავლე სასკოლო სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებს

საქართველოს მთავრობის მიერ საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემის პრეცედენტი აქამდე არ ყოფილა. წელს პირველად, ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის სახელმძღვანელოებს სახელმწიფო შეიძენს.

ამის შესახებ განცხადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **გიორგი მარგველაშვილმა** თბილისის 145-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრისას გააკეთა: *2013-14 სასწავლო წლიდან სახელმძღვანელოები იქნება უფასო. ამის შედეგად, სხვადასხვა თანხა (150-დან 200 ლარამდე) მშობლებს დაეზოგებათ და მიეცემათ შესაძლებლობა, სხვა რამისთვის გამოიყენონ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის ვალდებულება, რომელსაც სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს.*

*ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის პირველი დღიდან განვაცხადეთ, რომ ვიწყებთ სახელმძღვანელოების თემაზე მუშაობას. მე და ჩემი გუნდი 5 თვის განმავლობაში ვმუშაობდით ამ საკითხზე, ძალიან ბევრი მოდელი და ვარიანტი იქნა გააზრებული, მაგრამ მიზანი იყო ერთი და სავალდებულო – ის, რაც ბავშვების და მათი მშობლების კონსტიტუციური უფლებაა, მიიღონ მყისიერად და დღესვე. მთელ საქართველოს ვულოცავ, რომ სახელმძღვანელოები საჯარო სკოლებში იქნება უფასო.*

*მინდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში ხორციელდება, ავტორებს და გამომცემლებს ვაძლევთ იმ თანხას, რაც კანონითაა განსაზღვრული და, ვფიქრობ, ეს თანხა საკმარისზე ბევრია. მაგრამ სახელმძღვანელოების თემა ამით არ იწურება. ფასი იყო ერთი საკითხი, მეორეა შინაარსი და ფორმატი. ახალი სახელმძღვანელოები დაიბეჭდება ბევრად უფრო ხარისხიანი და ჯანმრთელობისთვის ნაკლებად მავნე ფორმატით. არ ვწყვეტთ სახელმძღვანელოების ხარისხზე მუშაობას, ეს იქნება პროცესი, რომელიც არ შეჩერდება, სადაც თავის ინტელექტუალურ და სხვა ტიპის ანაზღაურებას ჰპოვებს ყველა, მაგრამ მთავარია, ეს არ მოხდეს ბავშვებისა და მათი მშობლების ხარჯზე. მასწავლებლების და მშობლების კონსტიტუციური უფლებაა, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონსტიტუციური ვალდებულებაა, ამ ბავშვებს და მათ ოჯახებს ჰქონდეთ მეტი შემოსავალი, რომელიც დარწმუნებული ვარ, ისევ მათ შვილებს მოხმარდება. უნდა გვესმოდეს, რომ ის ოცწლიანი ტვირთი, რომელიც მშობლებმა საკუთარ თავზე გადაიტანეს – ოჯახებს სახლიდან გაჰქონდათ გასაყიდად სურსათი, რომ შვილებისთვის წიგნი ეყიდათ – ამ ინიციატივით მთავრდება და სახელმწიფო იღებს იმ ვალდებულებებს, რომელიც მას აკისრია. საქართველოს მოსახლეობის მიზანმიმართული გაღარიბების პოლიტიკა დამთავრებულია. მთავრობა იღებს კონსტიტუციით მინიჭებულ ვალდებულებებს – ბავშვების ხარჯზე აღარავინ არ გააღარიბებს ოჯახებს.*

*გამომცემლებს არავინართმევს სახელმძღვანელოების გამოცემის უფლებას, უბრალოდ, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფასოდ მისცეს ის, რაც უფასოდ ეკუთვნით. სახელმწიფო, ამ ეტაპზე, თავად დაბეჭდავს სახელმძღვანელოებს, რომლებსაც ბავშვებს მიაწოდებს. დანარჩენი ბაზარი თავისუფალია და გამომცემლებს შეუძლიათ იქ შექმნან და გაყიდონ წიგნები. არ არსებობს მსოფლიოში ბიზნესი, რომელიც მთლიანად სახელმწიფოს დაკვეთაზეა აგებული, მით უფრო ჩვენს ქვეყანაში, სადაც მშობლებს არჩევანი არ აქვთ. ნებისმიერი საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს შემდეგს: გაქვს პროდუქტი, არის მყიდველი. ამ ბავშვების მშობლების შემთხვევაში, მათ არა აქვთ სხვა არჩევანი, რომ არ იყიდონ ეს პროდუქტი, რადგანაც სხვა შემთხვევაში, ისინი შვილებს განათლების გარეშე დატოვებენ, განათლება კი კონსტიტუციური უფლებაა. საქართველოს მთავრობა ასრულებს იმ ვალდებულებას, რომელიც ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფოს ვალდებულებაა – არ გაყვლიფოს მშობელი მიზანმიმართულად. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას – ბავშვმა მიიღოს უფასო განათლება გარემონტებულ სკოლებში უფასო სახელმძღვანელოებით; უზრუნველვყოთ ტრანსპორტით, რომ არ იაროს ფეხით კილომეტრები; გავზარდოთ მასწავლებლების ხელფასები.*

*ახლა ვამუშავებთ სქემას, რომლის მიხედვითაც, სკოლას გადაეცემა წიგნები, რომლებსაც ბავშვები აუცილებლად გაუფრთხილდებიან, რათა შემდეგ წელს სხვა მოსწავლეებმა გამოიყენონ. ის წიგნები, რომელიც იქნება ახალი გრიფირებით ან ახალი სახელმძღვანელო, ბუნებრივია, დაიბეჭდება. ძირითადში, ეს მოხდება ისე, როგორც ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში.*

*როცა გამომცემლობების უფლებებზე მეკითხებით, გიპასუხებთ მოკლედ: 5 თვეა გამომცემლობებთან მიდის მოლაპარაკება ფასის დაწევის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომაც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენეთ, რადგანაც ბავშვების უფლებები არის უზენაესი საქართველოს კონსტიტუციით, ჩვენი მორალისა და შეხედულებებიდან გამომდინარე.*

*ლალი ჯელაძე*


სიახლე! მიმდინარეობს ხელმოწერა!

მოვემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის

წიგნის თარო

მოვემზადოთ გამოსაშვები გამოცდებისთვის

უსტარი




8 ლარი | 4 ლარი | 4,5 ლარი | 12 ლარი




5,5 ლარი | 7,5 ლარი | 6,5 ლარი




წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.


CMYK

აქტუალური თემა

# ინკლუზიური განათლების ერთიანი ხედვა

ესაუბრა
ლალი ჯელაძე

ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რამდენიმე წელია დაიწყო. ბოლო სამი წლის განმავლობაში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში არსებული მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზის საფუძველზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შეიქმნა, რომლის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ დარგის ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. სტრატეგია 2013-2016 წლებს მოიცავს და აქცენტი ინკლუზიური განათლების ახლად ჩამოყალიბებული სისტემების ინსტიტუციონალიზაციაზე, განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ინკლუზიური განათლების მასშტაბის ზრდაზე კეთდება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების 2013-2016 წლების სტრატეგიისა და საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიცირების 3 სტანდარტიზებული ინსტრუმენტის პრეზენტაცია გაიმართა.

განათლების პროცესის უკეთ დაგეგმვის მიზნით, მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება. აღნიშნული პროცესის დახვეწისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ნორვეგიის მიერ დაფინანსებული პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს ცხრა რეგიონის საჯარო სკოლებში“, USAID-ის, Save the Children-ის და გამოცდების ეროვნული ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით, საერთაშორისოდ გამოყენებადი შეფასების 3 ინსრტრუმენტი განხორციელდა: ბავშვთა ემოციური დარღვევების შეფასების მეთოდი (EDDT), Viland-ის ადაპტური ქცევის სკალა და ფართო პროფილისა და ადაპტური უნარების ტესტის WRAT-4 სტანდარტიზაცია.

როგორ განხორციელდება აღნიშნული სტრატეგია და რა ტიპის სამუშაოები უძღვის წინ ამ პროცესებს – ამის შესახებ გვესაუბრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ნათია ჯოხაძე:**

**– სახელმწიფომ ამ სტრატეგიით ინკლუზიური განათლება ერთ-ერთ პრიორიტეტად აღიარა...**

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს ნებისმიერ თემაზე თავისი ხედვა ჰქონდეს ჩამოყალიბებული. როდესაც ხედვა არსებობს, ამას მოსდევს ხოლმე სტრატეგიული დოკუმენტის შექმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი ჩვენი ქმედება ამა თუ იმ სფეროში – იქნება ეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, ეროვნული სასწავლო გეგმა თუ სხვ. – მხოლოდ სპორადული იქნება და არა ერთიან სისტემაში დანახული. აქედან გამომდინარე, ამ სტრატეგიის მნიშვნელობას იოლად დავინახავთ – ის ერთიან ხედვაში აყალიბებს ინკლუზიური, ანუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების საკითხებს. მეორე მხრივ, ეს სტრატეგია არ არის საბოლოო დოკუმენტი, ჯერჯერობით მხოლოდ სტრატეგიის პროექტია. საბოლოო დოკუმენტის სახეს მიიღებს მხოლოდ მაშინ, როცა მინისტრის მიერ დამტკიცდება. მანამ კი, გარკვეული კორექტირებაც მოხდება, ამიტომაც არ მინდა სტრატეგიაზე, როგორც წერტილდასმულ დოკუმენტზე, საუბარი.

სპეციალური განათლების საჭიროებები გვაქვს არა მხოლოდ სასკოლო ასაკში, არამედ სკოლამდელი განათლების, პროფესიული და უმაღლესი განათლების სექტორებშიც და, ზოგადად, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის და განათლების მიღების შესაძლებლობების კონცეფციაშიც. ერთია, როცა ჩართული ვარ ფორმალურ განათლებაში და მეორე – რას აკეთებს სახელმწიფო იმისთვის, რომ ჩემი ცოდნა და კომპეტენციები ფორმალური განათლების მიღმაც გავიმდიდრო, განვავითარო ან ახალი ცოდნა შევიძინო, მათ შორის, არაფორმალური განათლება ან სხვადასხვა ტიპის საშუალებები – ტრენინგი, ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა, ინტერნეტრესურსი და ა.შ. მნიშვნელოვანია, ამ თვალსაზრისით, როგორ არის მოწყობილი სახელმწიფო სერვისი. ამიტომ, როცა სტრატეგია საბოლოო სახეს მიიღებს, კონკრეტულად თითოეული დეტალი, ამ მიმართულებებით, იქნება გათვლილი.

**– ერთია, როგორია სტრატეგია და მეორე – სტრატეგიის იმპლემენტაცია, ანუ როგორ უნდა განხორციელდეს და რა რესურსებით**

– სტრატეგია მხოლოდ ქაღალდზე რომ არ დარჩეს დაწერილი, მნიშვნელოვანია ისეთი ინსტრუმენტების ჩართვა, როგორიცაა: ვადა, ფინანსური და ადამიანური რესურსები, ხარისხის კონტროლი და ა.შ. ეს ინსტრუმენტები აუცილებლად დეტალურადაა გასაწერი სტრატეგიაში. როგორც გითხარით, ჯერჯერობით, მხოლოდ სახელმწიფო ნებაა, ანუ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას და პასუხისმგებლობას, რომ ამ კატეგორიის ბავშვებისთვის შეიქმნას საგანმანათლებლო სივრცე. ეს სამოქმედო დოკუმენტი ცხადად დაგვანახებს ყველა საჭიროებას. მაგალითად, ყველა საჯარო სკოლაში უნდა მოეწყოს პანდუსი (ეს სტრატეგიის ყველაზე მარტივი პუნქტია), რომ სსსმ მოსწავლეებისთვის ფიზიკურად ხელმისაწვდომი გახდეს სკოლის შენობა. მაგრამ იმისთვის, რომ საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში გაკეთდეს პანდუსი, უნდა დადგინდეს, რა ბიუჯეტი და დროა ამისთვის საჭირო. ასევე, გასათვალისწინებელია, რა ადამიანური რესურსი დასჭირდება ამ პროცესს – დაგეგმვას, მონიტორინგს, განხორციელებას. ასეთ შემთხვევაში იქნება ეს ცოცხალი, სამოქმედო დოკუმენტი და არა უბრალოდ ქაღალდზე დაწერილი. მეორე მხრივ, როცა ვსაუბრობთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტრატეგიაზე, უნდა გავითვალისწინოთ ყველა აუცილებელი კომპონენტი. საზოგადოების გარკვეული ჯგუფი ცდება ხოლმე, როცა ინფრასტრუქტურის მოწყობაში მხოლოდ პანდუსების გაკეთებას გულისხმობს. სინამდვილეში, პანდუსი ერთ-ერთი და არა ერთადერთი შემადგენელია ამ ინფრასტრუქტურული ინოვაციებისა თუ ხედვისა. პანდუსის გარდა, გასათვალისწინებელია სველი წერტილები, საკლასო ოთახები, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს ადაპტირებული. აგრეთვე, სკოლის შენობის კიბე, რომელიც ასევე პრობლემურია – უნდა გაკეთდეს ლიფტის კაბინები, რაც საშუალებას მისცემს ბავშვებს, რომ მთლიანად სკოლის შენობა იყოს ხელმისაწვდომი და არა მხოლოდ პირველი სართული და ა.შ.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, მხედველობისა და სმენის დარღვევების მქონე მოსწავლეების პრობლემები და საჭიროებები სპეციალურ და სპეციალიზებულ ინფრასტრუქტურულ გადაწყვეტასთან დაკავშირებით. მაგალითად, აპარატურა (მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის სათანადო აუდიოაპარატურა), რომელიც მათ სათანადო კომპეტენციების გამომუშავების საშუალებას მისცემს; ასევე, სათანადო შრიფტით შექმნილი სახელმძღვანელოები, სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის სპეციალიზებული ოთახები თუ ლაბორატორიები, სადაც სხვა ტიპის აკუსტიკა იქნება და ა.შ.

რადგანაც ვამბობთ, რომ ინკლუზიური განათლება სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია, ინფრასტრუქტურაში ყველა ტიპის საჭიროება უნდა იქნეს გათვალისწინებული, რაც იმას ნიშნავს, რომ, რიგით საჯარო სკოლაში ნებისმიერი საჭიროების მქონე ბავშვს უნდა შეეძლოს სწავლა. ეს, რაც შეეხება ინფრასტრუქტურას. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, როგორ უნდა შეძლოს სკოლამ სწავლება – ასეთი ტიპის ბავშვებისათვის გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, პედაგოგთა სათანადო კომპეტენციები და ცოდნა. პედაგოგები უნდა მომზადდნენ, როგორ შეადგინონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. მაგალითად, მასწავლებელს კლასში 30 მოსწავლე უზის და მათგან 2 ან 3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა, ასეთ შემთხვევაში, ის ვალდებულია ამ ბავშვებთან შესაბამისი სტრატეგიებით იმუშაოს. შეიძლება ადგილი ჰქონდეს კითხვის რეჟიმის დარღვევას, გააზრების შენელებულ პროცესს, ამიტომ მათთვის შეიძლება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგეს. სწორედ ამის გათვალისწინებით წარმოადგენს სტრატეგია სკოლის საჭიროებების შესაბამისად პედაგოგთა გადამზადების ხედვას – ანუ კონკრეტულ სკოლაში რა ტიპის საჭიროების მქონე მოსწავლე იქნება, იმ ტიპის ტრენინგ მოდულით გადამზადდება პედაგოგი.

სკოლაში სწავლებას ერთი პედაგოგი წარმართავს, თუმცა სკოლებს ინკლუზიური განათლების კოორდინატორებიც ჰყავთ და მათი უფლებაა, ისინი გაკვეთილის პროცესში ჩართონ. ეს ძალიან კარგია, ერთგვარად ცოდნის გააზრებაც ხდება და, გარკვეულწილად, ხელს უწყობს მრავალრიცხოვან კლასებში გაკვეთილის პროცესის სრულყოფილად წარმართვას.

**– ინკლუზიური განათლება მასშტაბურ ხასიათს მიიღებს თუ ეტაპობრივად განხორციელდება?**

– მთავარია, ხედვა იყოს მასშტაბური და მთლიანი. 2013-15 წლებში რაც გაკეთდება, ცხადია, დანაწევრებული იქნება. ერთდროულად 2000-ზე მეტ სკოლაში, ბუნებრივია, დანერგვა ვერ დაიწყება, რადგან, საამისოდ არც საკმარისი სახელმწიფო რესურსია და არც ადამიანური. დაგეგმვის გარეშე, ასეთი მასშტაბური პროექტების განხორციელება, ბუნებრივია, გაგვიჭირდება. დაგეგმვას, გაკონტროლებას და შეფასებას კი საკმაოდ დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსი სჭირდება. ამიტომ, იმის ილუზიას ვერ შევქმნით, რომ 2000-ვე სკოლაში ერთდროულად დავიწყებთ განხორციელებას. უმჯობესია, სკოლების დაფარვა ეტაპობრივად გაიწეროს.

**– ამ პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სახელმძღვანელოა. ამ მიმართულებით რა მდგომარეობაა?**

– ამაყი ვარ იმით, რომ საქართველოს კურიკულუმში შესულია ჟესტური ენის სტანდარტი, რომელიც აქამდე არ იყო – არ გვქონდა სტანდარტი სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის. ჟესტური ენა თითქოს უნიფიცირებულია, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ქართული ჟესტური ენა განსხვავებულია, მაგალითად, ბრიტანული, ამერიკული ან სხვა ჟესტური ენებისაგან. ეს იყო პირველი მცდელობა, რომ შეგვემუშავებინა სტანდარტი და, გარკვეულწილად, რაღაც საკითხები სტანდარტში მოგვექცია, მოგვეხდინა უნიფიცირება, რათა სმენადაქვეითებულ ბავშვებს ჟესტური ენით შეეძლოთ კომუნიკაცია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით. გარდა ამისა, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების – USAID და Save the Children – ხელშეწყობით, მომზადდა მათემატიკის, ჟესტური ენისა და ქართული ენის სახელმძღვანელოები I- II კლასებისათვის თავისი სტანდარტებით. ამ მიმართულებით ეს მართლაც ინოვაციაა და მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იმისკენ, რომ ეს ბავშვები სწავლა-სწავლების პროცესიდან გარიყულები არ იყვნენ. იმის გამო, რომ არ გვქონდა სახელმძღვანელოები, პედაგოგები მათ მთელ რიგ კომპეტენციებს ვერ უვითარებდნენ. მეორე მიმართულება, რომელიც გვინდა სერიოზულად განვავითაროთ, არის მხედველობის პრობლემების მქონე ბავშვებისათვის სასწავლო რესურსის მომზადება – მათთვის სახელმძღვანელოების შექმნა (მათი ჩვეულებრივი სახელმძღვანელოებით სწავლება, პირდაპირ დანაშაულია). საუბარია, ბრაილის შრიფტით გამოცემულ სახელმძღვანელოებზე. ამჟამად იურიდიული პროცესების გარკვევა მიმდინარეობს, რადგან ეს სახელმძღვანელოები გამომცემლობებს ეკუთვნის და არა ჩვენ, თან ჩვენი დეპარტამენტის კომპეტენცია არ არის სახელმძღვანელოების გამოცემა. ვცდილობთ, დავინახოთ ზუსტი სურათი, რა გამოსავალი შეიძლება ვიპოვოთ, რომ ამ ბავშვებამდე შესაბამისი შრიფტით დაბეჭდილი გრიფირებული სახელმძღვანელოები მივიდეს.



**– დაიწყო პირველკლასელთა რეგისტრაცია, ნებისმიერ სკოლას შეუძლია დაარეგისტრიროს ინკლუზიური ბავშვი?**

– რასაკვირველია, სკოლას უფლება აქვს, დაარეგისტრიროს ინკლუზიური ბავშვი. იმ შემთხვევაში, თუ სკოლას ამ კატეგორიის ბავშვთან მუშაობის გამოცდილება არ აქვს, შეუძლია მიმართოს მულტიდისციპლინარული გუნდის წევრებს, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედებენ (სულ 40 წევრია). ისინი სსსმ ბავშვების შეფასებას ახდენენ და სკოლებს ამ მიმართულებით ეხმარებიან. თუ სკოლას აქვს გამოცდილება და ჰყავს კოორდინატორი, შეუძლია სწორედ ამ კოორდინატორის საშუალებით შეაფასოს ბავშვი.

**– დაბოლოს, რას გულისხმობს სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების ახალი კრიტერიუმები – საერთაშორისოდ გამოყენებადი შეფასების 3 ინსტრუმენტი, რომელიც ბავშვის აკადემიურ, ემოციურ და ადაპტაციურ განვითარებას შეაფასებს?**

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია. სიმართლე გითხრათ, ჩვენ ამ პროცესებში ძალიან დეტალურად ჩართულები არ ვიყავით, გამოცდების ეროვნული ცენტრის ექსპერტებმა მოამზადეს. როგორ შევაფასოთ ამა თუ იმ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები – ამ ინსტრუმენტების გამოყენება, ალბათ, იოლი არ არის, გარკვეულ პროფესიონალიზმსა და ცოდნას მოითხოვს. ცხადია, ახალი არაფერი გამოგვიგონებია და მსოფლიო გამოცდილება იქნა გაზიარებული. ეს ძალიან კარგი გზამკვლევი იქნება იმ ჯგუფისა თუ ინსტიტუციისათვის, სადაც ამ კატეგორიის ბავშვების საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასება მოხდება, სავარაუდოდ, სასწავლო გეგმების დეპარტამენტი ან გამოცდების ეროვნული ცენტრი. ეს ინსტრუმენტები პედაგოგს, მშობელს და სკოლას არსებული მდგომარეობის ზუსტ სურათს უჩვენებს – როგორ და რა სახით მოხდეს ინტერვენცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესიდან მაქსიმალური შედეგის მისაღებად.

ქართული, როგორც მეორე ენა

# ისევ რამდენიმე სიტყვა ჩვენი პროგრამის შესახებ
# მე მიყვარს საქართველო!

მოგესალმებით!

ვინც ჩემი წინა წერილი წაიკითხეთ, გეხსომებათ, ვისაც არ წაგიკითხავთ მოგახსენებთ, რომ ვარ პროგრამის „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ (ხელმძღვანელი – **მაკო ჭილაშვილი**) რიგითი მასწავლებელი და ვმუშაობ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ალასტანის სომხურენოვან სკოლაში. წინა წერილში მოგახსენეთ იმ ობიექტური თუ სუბიექტური პრობლემების შესახებ, რომლებიც ზოგადად არის ყველა იმ სოფელში, სადაც ჩვენი პროექტის მასწავლებლები მუშაობენ.

დღეს სხვა რამეზე მინდა გესაუბროთ.

თუმცა ისევ სკოლაზე, ისევ ქართულზე და ისევ საქართველოზე.

როგორც ადრე მოგახსენეთ, პირველი შეკითხვა,რომელიც აქ გიჩნდება არის – იცის თუ არა ამ ხალხმა, რომელ ქვეყანაში ცხოვრობს? რომელ სახელმწიფოში? და პირველი შეკითხვა, რომელსაც ყველა კლასში ვსვამდი იყო – *ბავშვებო, სად ვცხოვრობთ ჩვენ?*

პასუხი – *ალასტანში....არა, ჩვენ კოკიოში* (მეზობელი სოფლიდან გადმოსული მოსწავლეები).

მე – *ბავშვებო, ეს გასაგებია, მაგრამ ჩვენ – მე, თქვენ (ალასტნელ ბავშვებზე ვუთითებ), თქვენ (კოკიოელ ბავშვებზე ვუთითებ) სად ვცხოვრობთ?*

პასუხი – *ახალქალაქში.*

მე – *სწორია, მაგრამ, აი, მე, თქვენ სად (ხელებს ფართოდ ვშლი, თითქოს მთელი საქართველო მინდა ჩავატიო ჩემ გაშლილ ხელებში, ფანჯარაში მომზირალი მთებისკენ ვიხედები), სად ვცხოვრობთ?*

ბავშვები ჩემს მზერას იჭერენ და უხარიათ. პასუხს მიაგნეს.

პასუხი – *ჯავაკხში.*

მე – *ჯავაკხი კი არა, ბავშვებო, ქართულად უნდა ვთქვათ ჯავახეთი... სწორია.*

სასოწარკვეთაა ჩემს ხმაშიც და ჩემს მზერაშიც და უცებ... რუკა... რუკა, რომელიც ყველა კლასში კიდია, რატომღაც. ზოგან საქართველოს,ზოგან მსოფლიოს, ზოგან ფიზიკური, პოლიტიკური, ზოოლოგიურიც კი... სწრაფად მივდივარ, მივრბივარ, მივფრინავ რუკისკენ… თითს ვადებ საქართველოს, კალმით მთელ კავკასიასა და შავ ზღვას ვსაზღვრავ…

– *სად ვცხოვრობთ, ბავშვებო, ჩვენ?*

– *საქართველოში!!!*

ყველას შვების ოხვრა აღმოგვხდა.

...ჩემი პედაგოგიური გამოცდილებიდან ვიცი, რომ მასწავლებელმა პირველ გაკვეთილზე, პირველ დღეებში, უნდა გააკეთო ისეთი რამ, რაც სამუდამოდ შენსას გახდის შენს მოსწავლეს, შეაყვარებ შენს თავს და შენს საგანს. ისევ ჩემი გამოცდილებიდან დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, ბავშვები სწავლობენ იმ საგანს, რომლის მასწავლებელიც უყვართ და არანაირად პირიქით....

მე – *დიახ, ბავშვებო, ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში და ძალიან მინდა, გაგაცნოთ საქართველო.*

ჩვენი პირველი მოგზაურობა იყო აჭარაში. ამ პროექტის – „ჩვენც საქართველოს შვილები ვართ“ – განხორციელებაში გვერდში ამომიდგა ჩემი სკოლის, სადაც 21 წელი ვიმუშავე (დირექტორი – ბატონი **ტარიელ ქათამაძე**), რისთვისაც უკვე საჯაროდ ვუხდი მადლობას. პროექტში მონაწილეობდა 15 სომეხი ბავშვი, რომლებსაც მეტ-ნაკლებად ესმოდათ ქართული (ლაპარაკზე საუბარი არ არის) და რომლებმაც კეთილსინდისიერად ისწავლეს ჩემ მიერ მიცემული სიტყვები ქართულ ენაზე, საქართველოზე, ქართველების სხვა ერებთან თანაცხოვრების უნარზე, შოთას და გრიგოლ ორბელიანის განსაკუთრებული სულით გაჟღენთილი სტრიქონები, ქართული „სულიკო“ და 33$^{ა}$-ს „თოვლი“...

ჩავედით ჩაქვში 5 დღით, გადავანაწილეთ ეს ბავშვები ქართულ ოჯახებში იმ მიზნით, რომ ხუთი დღის განმავლობაში ისინი მთლიანად ქართულ ენობრივ, კულტურულ და კულინარიულ გარემოში ყოფილიყვნენ. ზოგი, ოჯახმა ქართულ ქორწილში წაიყვანა, ზოგი კი, საკუთარი ინიციატივით, ბათუმის დასათვალიერებლად. ბავშვები ესწრებოდნენ გაკვეთილებს ქართულ სკოლაში, ადგილობრივი მასწავლებლები აქტიურად რთავდნენ სომეხ მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო) და სახლში დაბრუნებულები სიამაყით ეუბნებოდნენ ამხანაგებს, ოჯახის წევრებს, მასწავლებლებს, რომ ქართველმა მასწავლებელმა შეაქო, რომ ჩაქვის სკოლაში მასწავლებელმა 10 ქულა დაუწერა. ბავშვები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. სხვათა შორის, ჩვენი, მასწავლებლების გადაწყვეტილება იყო, ამ შეჯიბრებებისთვის არ მიგვეცა ოფიციალური სახე, რომ ეს არ ყოფილიყო სკოლებს შორის დაპირისპირება, რასაც მეტოქეობის არაჯანსაღი გრძნობა შეიძლება გამოეწვია, ამიტომ ბავშვები კლასებს შორის ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და ორივე მხარეს იყვნენ ქართველებიც და სომხებიც.

მასპინძელი ბავშვები მოხიბლული დარჩნენ სტუმრების ფიზიკური სიძლიერით, სპორტულობით და გულწრფელობით. სტუმრები კი ამბობდნენ – აი, ტელევიზორში რომ სკოლები გვინახავს, ისეთ სკოლაში ვართო, ეს ბავშვები გაკვეთილებზეც დადიან და შემდეგ სხვადასხვა მასწავლებლებთან, გამოცდისთვის რომ მოემზადონო (ეს ამ ბავშვებისთვის საკმაოდ უცნაური რამ იყო, რადგან ისინი სკოლაში დადიან და სწავლობენ მხოლოდ მაშინ, როცა სცალიათ). ზოგი წაჰყვა კიდეც თავის მასპინძელს რეპეტიტორთან. მოკლედ, ყველა ერთიან ფერხულში იყო ჩართული.

ბათუმურ, წვიმიან დღეებში მხოლოდ ერთ დღეს გაგვინათა მზემ და ჩვენც, არც ვაციეთ და არც ვაცხელეთ, სტუმარმასპინძლიანად, მასპინძელი სკოლის მიერ ორგანიზებული ტრანსპორტით, გავემგზავრეთ იქით, საიდანაც იწყება საქართველო... სარფისკენ!

ბათუმში შესვლისთანავე გვქონდა პირველი გაჩერება. კათოლიკური ეკლესია.

მართალია, ჩემი სოფლის კათოლიკე სომხები არც ძალიან მორწმუნენი და არც ძალიან ეკლესიურნი არიან, პირველად მაინც კათოლიკურ ეკლესიაში შევიყვანე, სანთლები დაანთეს. ვთხოვე უფლისთვის კარგი ამინდი და უსაფრთხო მოგზაურობა ეთხოვათ.

ვნახეთ თითქმის ყველაფერი: სარფი, ზღვა, ანდრია პირველწოდებულის ძეგლი, გონიოს ციხე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც თავიანთი მონაცემების დემონსტრირებაც კი მოახდინეს უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში და სასიამოვნოდ გააოცეს უნივერსიტეტის მწვრთნელი, მივირთვით აჭარული ხაჭაპური, ბულვარში ვიცეკვეთ ქოჩარი.

ამ დღეს მეორე დღე მოჰყვა. დაუვიწყარი გაცილება სკოლის სააქტო დარბაზში, სადაც სომეხი ბავშვები ისეთ სიტყვებს ამბობდნენ ქართულად, რომ ჩემი ქართველი კოლეგები ემოციებს ვერ უმკლავდებოდნენ და მათ თვალებში ცრემლებიც კი შევნიშნე. დაუვიწყარი იყო მასპინძლების ქორეოგრაფიული ნომერი, რომელიც სკოლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ოჰოი ნანა“ (ხელმძღვანელი – ა. ხიდაშელი) აჩვენა. ყველაფერი დაუვიწყარი იყო ჩემი სომეხი მოსწავლეებისთვის: საჩუქრები, გამოსამშვიდობებელი სადილი, მანდარინით და ლიმონით დატვირთული სამარშრუტო ტაქსი, გულში ჩახუტებული ქართული წიგნები და ცრემლით სავსე თვალები...

...მაგრამ ჩემთვის დაუვიწყარი იყო ბათუმის ძველ უბანში გაჩახჩახებულ ქუჩაში, მართლმადიდებლური ეკლესიიდან გამოსული და შუა ქუჩაში ხელებგაშლილი სომეხი მეთორმეტეკლასელი ბიჭი (რომელიც მხოლოდ მეგობრების თხოვნით წამოვიყვანე, რადგან ქართული საერთოდ არ იცოდა) და მისი ძალიან ხმამაღალი, ყოველგვარი რიდის გარეშე წარმოთქმული სიტყვები:

– მე მიყვარს ბათუმი!.. მე მიყვარს საქართველო!!!

**P.S.** სწორედ მაშინ მივხვდი, რომ მე გამიჭირდება ამ ბავშვების და ამ საქმის დატოვება. სწორედ მათ გამო ვრჩები პროექტში.

ბევრი რამ მაქვს კიდევ გასაკეთებელი და სათქმელი: როგორ ჩაიარა საპასუხო ვიზიტმა, როგორ ვცდილობ ავუხსნა წყვეტილი და უწყვეტელი, როგორ ვცდილობ ავუხსნა ყველა სიტყვა მხოლოდ ქართულად (რუსულს შეგნებულად არ ვიყენებ, სომხური კი არ ვიცი).

– *როგორ, სომხური არ იცით და ისე ასწავლით სომეხ ბავშვებს ქართულს?* – გაოცებული მეკითხება სოფლის „მარშრუტკაში“ მეზობელი სოფლის სომეხი ქართულის მასწავლებელი – *ეს შეუძლებელია!*

– *მობრძანდით და ნახეთ!* – მივიპატიჟე მასწავლებელი ჩემს გაკვეთილზე. ჯერ არ მოსულა.

თქვენ თუ გაინტერესებთ, როგორ ვასწავლით და რას სწავლობენ ჩვენი მოსწავლეები, მობრძანდით და ნახეთ... ან ჩვენ მოგიყვებით.

პატივისცემით,
**ია ბაგრატიონი**

სამოქალაქო განათლება

# ინგლისური ენის სწავლება სამოქალაქო განათლებით

სსიპ ქუთაისის №8 საჯარო სკოლა მნიშვნელოვან პროექტებსა თუ ღონისძიებებშია ჩართული. ამჯერადაც, ქუთაისის №8 საჯარო სკოლაში წარმატებით მიმდინარეობს ამერიკის საელჩოსა და საქართველოს განათლების სამინისტროს ერთობლივი პროექტი „ELCE“ – „ინგლისური ენის სწავლება სამოქალაქო განათლებით“ – ღია გაკვეთილის კვირეული. ეს არის PH – International-ის, ამერიკის საელჩოს და განათლების სამინისტროს ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში, ინგლისური ენის სწავლების გზით, სამოქალაქო განათლების ამაღლებას.

ამ მიზნით, უკვე მეორე თვეა ქუთაისში მუშაობს ამერიკელი ტრენერი **კირსტენ მაშინტერი**, რომელიც მასწავლებელთა შორის კვალიფიკაციის ამაღლებასა და გამოცდილების გაზიარებას ხელმძღვანელობს. ყოველკვირეულად ატარებს ტრენინგებსა და შეხვედრებს იმ სკოლების მასწავლებლებისათვის, რომლებიც პროექტში არიან ჩართული.

ქალბატონი კირსტენ მაშინტერი სისტემატურად ესწრება ღია გაკვეთილებს და მასწავლებლებს რჩევებით ეხმარება – რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საქართველოში წარმატებით დაინერგოს და განვითარდეს „ELCE“ – „ინგლისური ენის სწავლება სამოქალაქო განათლებით“.

მიმდინარე წლის 23 მარტს, №8 საჯარო სკოლაში, ინგლისურ ენაში, სერტიფიცირებულმა მასწავლებელმა **მარიამ კუჭუხიძემ** ღია საქალაქო გაკვეთილი ჩაატარა თემაზე: „გმირები და პარალიმპური თამაშები“. მასწავლებელმა გაკვეთილის მსვლელობის დროს ბევრი საინტერესო აქტივობა გამოიყენა, რამაც ხელი შეუწყო დასახული მიზნების ადვილად მიღწევას. მოსწავლეებმა ვენის დიაგრამაში ერთმანეთს შეადარეს ორი პარალიმპური გმირი და ჩამოთვალეს ის თვისებები, რაც ამ ორ უნარშეზღუდულ ოლიმპიურ ჩემპიონს ახასიათებდა.

განსაკუთრებული იყო გაკვეთილის დასკვნითი ნაწილი...

პარალიმპური თამაშების ვიდეორგოლის ჩვენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც მოსწავლეებაზე, ასევე დამსწრე საზოგადოებზე, რომლებიც ქალაქის სხვადასხვა სკოლებიდან სტუმრობდნენ №8 საჯარო სკოლას. ვიდეოს ყურების შემდეგ გაიმართა დისკუსია: „რატომ უნდა იქნეს მხარდაჭერილი პარალიმპური თამაშები და რა სარგებლობა მოაქვს ასეთი ტიპის თამაშებს უნარშეზღუდულებისათვის“. ღია გაკვეთილზე განსაკუთრებით აქტიურობდნენ მოსწავლეები: **ნანული ფურცხვანიძე, თათია ტყეშელაშვილი, მარიკა მინდიაშვილი, გოგა ფხაკაძე, გენადი ბეშკენაძე, სოფიკო ფორჩხიძე, ანა ხაზარაძე, გიორგი მამრიკიშვილი**. მათ არგუმენტირებულად დასაბუთებული მოსაზრებები გამოთქვეს.





გაკვეთილი თემატურად, სტრუქტურულად და შინაარსობრივად მაღალ დონეზე წარიმართა. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელს აქტივობები საინტერესოდ ჰქონდა შედგენილი და გათვლილი. ყველა მოსწავლე ჩართული იყო გაკვეთილის მსვლელობაში.

სკოლის დირექტორმა **რეზო სირბილაძემ** და ღია გაკვეთილის რამდენიმე დამსწრემ მაღალი შეფასება მისცეს ინგლისური ენის მასწავლებლის მარი კუჭუხიძის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს.

***სკოლის დირექტორის თვალით დანახული პედაგოგი***

მარიამ კუჭუხიძემ №8 საჯარო სკოლაში მუშაობა ჯერ კიდევ სტუდენტმა დაიწყო. მას, როგორც წარჩინებულს, რეკომენდაცია გაუწია აკაკი წერეთლის უნივერსტიტეტის ინგლისური ენის კათედრის გამგემ, პროფესორმა მადონა მეგრელიშვილმა.

მიზანდასახული და ძალზე შრომისმოყვარე პედაგოგია, სავსეა ახალი იდეებით და ცდილობს, ყოველ გაკვეთილზე დანერგოს და განახორციელოს სიახლეები, რაც ბუნებრივია ხელს უწყობს სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებას სკოლაში. ძალზე კოლეგიალური და კომუნიკაბელური პიროვნებაა, ყოველთვის მზადაა დაეხმაროს პედაგოგებს და გაუზიაროს გამოცდილება.

მარიამი გამუდმებით იმაღლებს კვალიფიკაციას და ყოველთვის მზად არის პროექტებში მონაწილეობისთვის, რაც მის პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს. გავლილი აქვს პროფესიული განვითარების ტრენინგები. მის მოსწავლეებს, ტრადიციულად, დიდი წარმატება აქვთ ეროვნულ ოლიმპიადებსა თუ კონფერენციებში

**მზია ზარნაძე**
*სსიპ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის პედაგოგი*

# ჩვენ ხელოვნებამ დაგვამეგობრა



ეს ისტორია თბილისის №143 საჯარო სკოლაში დაიწყო (დირექტორი – **მაია მელქაძე**). ერთი შეხედვით, თითქოსდა ყველაფერი მარტივი იყო. მაგრამ დიდხანს მომიწია ფიქრი იმაზე, რა თემაზე ჩამეტარებინა საჩვენებელი კლასის თემატური საათი, რომ ერთნაირად საინტერესო ყოფილიყო როგორც მოსწავლეებისათვის, ისე ჩემი კოლეგებისათვის. რაც მთავარია, ჩემი აღსაზრდელებისათვის უნდა გამომემუშავებინა ის უნარ-ჩვევები, რომელიც სამომავლოდ უთუოდ წაადგებოდათ. არჩევანი გავაკეთე – ხელოვნების სამყაროში მოგზაურობა გადავწყვიტეთ. ჩემი პატარებისათვის უნდა გამეაზრებინა ხატოვანი გამოთქმა: „ხელოვნებაა თავად უკვდავება...“ მაგრამ როგორ? მთავარი იყო, სიტყვა სიტყვად არ დარჩენილიყო, მათ უნდა ეგრძნოთ, განეცადათ, წარმოედგინათ... შესავალი – საუბრები ხელოვნების დარგებზე – მუსიკა, ფერწერა, ცეკვა, ლიტერატურა – სიტყვის ხელოვნება. საუბრები საინტერესო გამოდგა, მაგრამ „ფრთები, ფრთები“ აკლდა... ჰოდა, დამებადა იდეა – გამეცნო მათთვის ბალეტის სამყარო, ჰაეროვანი ცეკვები, მოცეკვავეთა გრაციოზულობა, კოსტიუმების ფერთა გამა, სცენის დეკორაციები, მომაჯადოებელი მუსიკა ორკესტრის შესრულებით. „მოიცა, ხომ არ ჩქარობ?“ – ვეკითხები საკუთარ თავს, ისინი ხომ ჯერ მეხუთეკლასელები არიან, ძალიან პატარები საიმისოდ, პირველივე ჯერზე, კლასიკური ხელოვნება „მოახვიო“ თავს. თანაც ამ „ბრახა-ბრუხით“ (უგემოვნო მუსიკით) აქვთ თავები „გამოტენილი“, მაგრამ... ჯიუტმა სურვილმა გაჭრა. რაც მთავარია, ჩემმა გოგო-ბიჭებმა დიდი სიხარულით აიტაცეს, აღფრთოვანდნენ, ცოცხალ ბალერინასთან შეხვედრას მოუთმენლად ელოდნენ.

ახლაც მეღიმება, როცა მახსენდება პირველი რეაქცია გაოცებული სახეებისა (განსაკუთრებით ვაჟების), ნელ-ნელა უხერხულ (ეშმაკურ) ღიმილში რომ გადაუვიდათ. არაფერია! ამას მივხედავ! გამიელვა და მტკიცედ გადავწყვიტე მოცეკვავე-ბალერინა მომეწვია სკოლაში. არც შევმცდარვარ. რჩებოდა მხოლოდ – საიდან დამეწყო?

გაკვეთილი ფანჯრებს, კარს მიღმა... საბალეტო სპექტაკლზე დასწრება (წინასწარი საუბარი ქცევის ნორმებზე), დიდი იყო ესთეტიზმის განცდა. სამმოქმედებიანმა სპექტაკლმა – ნ. რიმსკი-კორსაკოვის „შეჰერეზადა“ (ბალეტი ერთ მოქმედებად, მიხეილ ფოკინის ქორეოგრაფია), ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის კომპოზიცია (ირჟი კილონის ქორეოგრაფია), ჟორჟ ბიზეს „ვარიაციები“ (ალექსეი რატმანსკის ქორეოგრაფია) – შთაბეჭდილება მოახდინა მოსწავლეებზე. სცენის დეკორაციები და მოცეკვავეთა კოსტიუმების ფერთა გამა ეფექტური იყო, აღარაფერს ვამბობ თვით შესრულებაზე.

აი, ეს უკვე საქმეა! – ინტერესი გაღვივდა. ჩვენი ბალერინაც სცენაზე ერთ-ერთ მთავარ პარტიას ასრულებდა – ეს იყო **ლიკა ლაბაძე**, სულ ცოტა ხანში რომ უნდა შევხვედროდით. ლიკა შესანიშნავი ადამიანი აღმოჩნდა, გულისხმიერი, ყურადღებით მოეკიდა ჩვენს თხოვნას და დაგვთანხმდა სტუმრობაზე. მაგრამ ჩემი, როგორც დამრიგებლის, ჩანაფიქრი კიდევ უფრო სხვა იყო, ვიდრე ჩვეულებრივი სტუმრობა. შეხვედრის მიზანი ასეთი იყო – ხელოვანს აქ, №143 საჯარო სკოლაში, თავად უნდა ჩაეტარებინა გკვეთილი თემაზე „ხელოვნებაა თავად უკვდავება...“ სწორედ ეს იყო ჩვენი კლასის საათის თემატიკაც!

მე კი, როგორც კლასის ხელმძღვანელს, აუდიტორია უნდა დამეხვედრებინა მისთვის. მშობლების დახმარებით დარბაზი მართლაც რომ ლამაზად მოვრთე.

მომსვლელს, პირველ რიგში, ესთეტიკურ გარემოში უნდა ეგრძნო თავი. სტუმრებიც მობრძანდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი მაია მელქაძე, პედაგოგები, მშობლები, და ყველაზე მთავარი სტუმარი, სული და გული იმდღევანდელი შეხვედრისა, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი, ნინო ანანიაშვილის დასის მოცეკვავე ლიკა ლაბაძე. სწორედ იგი საუბრობს ცეკვის ხელოვნებაზე, ზოგადად ხელოვნების დანიშნულებაზე. თუ რა ხდება კულისებს მიღმა, როგორია სამზადისი სპექტაკლამდე, რომ ეს უდიდეს შრომასთანაა დაკავშირებული... შემდეგ კი, როგორი სასიამოვნოა წარმატების განცდა, გასტროლები მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში. გზადაგზა ეკრანზე ჩნდება საბალეტო სპექტაკლებიდან ჩანაწერები. მთელი ფოტოგალერეაა!

რა სილამაზეა!

ყვება ლიკა საინტერესო ისტორიებს - ბუნებრივად, უშუალოდ, მჭერმეტყველურად, სიყვარულით... იგრძნობა, როგორ აღმერთებს ქალბატონ ნინო ანანიაშვილს, აღნიშნავს რა მის ღვაწლს ქართული საბალეტო ხელოვნების განვითარებაში.

ტურნე ამერიკაში, იაპონიაში... ყველანი გააოცა საოცრად დაუჯერებელმა ეპიზოდმა მისი საგასტროლო მოგზაურობიდან – სცენაზე როგორ გადატყდა ფეხის თითი, მიუხედავად ამისა, ცეკვა ისე განაგრძო არა თუ მაყურებელს, დასის წევრებსაც არ გაუგიათ, არ შეიმჩნია, შემდეგ კი სასწრაფოდ თბილისში ჩამოიყვანეს. – „რომ არ გეცეკვა, არ გაგირთულდებოდა,“ – უთხრეს ექიმებმა. შეხვედრაზე ბევრი ეპიზოდი გაიხსენა, დარბაზში უამრავი კითხვა დაუსვეს პატარებმა, დიდებმა, რომელთაც იგი დამაჯერებლად, სასიამოვნოდ და სრულყოფილად პასუხობდა. ლიკა ლაბაძემ მოახერხა დარბაზის მონუსხვა 2-3 საათის განმავლობაში, ყველანი ამოგზაურა უცხო, ახალ, ლამაზ სამყაროში. „თურმე, რამდენი რამ არ გვცოდნია დიდებსაც! “ – აღნიშნავდნენ მასწავლებლები.

ლიკამ ეს გაკვეთილი უჩვეულო დეტალებითაც გაახალისა – სცენაზე აიყვანა გოგონები: ქრისტინე როხვაძე, მარიამ ოთხოზორია, ლილე ჩაკვეტაძე და შეურჩია თმის ვარცხნილობა, რომელიც დამახასიათებელია ბალერინასთვის, შემდეგ კი, საბალეტო „პაჩკებში“ გამოწყობილ გოგონებს – ხატია ბაშარულს, ლიკა მელაძეს, თიკო ნაბორაშვილს, მარიამ უნდელაშვილს ჩააცვა „ბალეტკები“, თავადაც გაიხადა ფეხზე და ასწავლა (აჩვენა) ის პროცესი, როგორ შეიძლება მოირგო „ბალეტკები“, როგორ უნდა შედგე მასზე და იცეკვო.

ასეთმა პასაჟებმა დარბაზში დიდი ოვაცია და მხიარულება გამოიწვია.

ბოლოს ლიკამ ყველა ერთად, ბიჭიცა და გოგოც, საცეკვაოდ მიიწვია.

ასეთი უჩვეულო და ლამაზი საღამო აჩუქა №143 სკოლას ბალერინა ლიკა ლაბაძემ, კერძოდ კი – $V^1$ კლასს. ამ დღიდან ლიკა ჩვენი მეგობარია.

მოგვიანებით მან პროფესია შეიცვალა – ტელეწამყვანი გახდა, შემდეგ მონაწილეობა მიიღო „იმედის“ პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“, სამორი ბალდესთან ერთად. პროექტის მიმდინარეობისას კლასში დიდი ვნებათაღელვა იყო.

„ლიკა – სამორ!“ – გავყვიროდით მათ გულშემატკივრებთან ერთად. „SMS“-ების „ზღვა“ წავიდა ჩვენგან. განსაკუთრებით აქტიურობდნენ: თიკო ნაბორაშვილი, ამირან ტორონჯაძე, ლუკა მახარაძე, ლუკა რაზმაძე, ანა კირვალიძე, ლიკა მელაძე, ნინო გუნია, ფაშა ჰუსეინოვი, ლილე ჩაკვეტაძე, ნიკა შუბითიძე, ნიკა ხარაიშვილი. მაგრამ ყველაზე დიდი გულშემატკივარი ხატია ბაშარული აღმოჩნდა, იგი დავაჯილდოვე მოსაწვევით, რომელზეც სამორისა და ლიკას ავტოგრაფი იყო. ლიკასთან გვქონდა მიმოწერა, სატელეფონო საუბრები. საოცარი ის იყო, რომ იგი, დატვირთული – დაძაბული გრაფიკის მიუხედავად, ამისთვის ყოველთვის იცლიდა.

შემდეგ იყო დიდი სიხარული – გამარჯვების პრიზი. დასკვნითი ტური, დამეთანხმებით, ძალიან ამაღელვებელი იყო მთელი საქართველოსთვის. ეს პროექტი მართლაც რომ შედგა.

ჩვენ უკვე $VII^1$ კლასში ვართ. ლიკა ლაბაძესთან დაწყებული მეგობრობა არ განელებულა, ახალ ფაზაში გადავიდა. 2013 წლის დამდეგს ლიკა უჩვეულო ამპლუაში წარდგა ჩვენ წინაშე. გადავწყვიტეთ ბავშვებისათვის საახალწლო სიურპრიზი მოგვეწყო. საგანგებოდ მოწყობილი დარბაზი მათ დაეთმობოდათ, ლიკა კი კვლავ მათი მასწავლებელი იქნებოდა... ჩემს გოგო-ბიჭებს: ნიკა გიორგაძეს, ანანო ჯორბენაძეს, ლექსო სიფრაშვილს, სანდრო დავითურს, მარიამ შერმადინს, ნინო გუნიას, ირაკლი გუგუჩაშვილს, შამილი პირველს, მარიამ უნდელაშვილს, ქრისტინე როხვაძეს, ნიკა შუბითიძეს, გიორგი ბიბიაშვილს, ფაშა ჰუსეინოვს, ნინო კანტიძეს, ანა კირვალიძეს, ანა ფეიქრიშვილს, გიორგი ცაბაშვილს, ანა წიკლაურს... დარბაზში შემოვუძეხი. ისინი გაინაბნენ რაღაც კარგის მოლოდინში... და აი, შემოვიდა ლიკა ლაბაძე. მათ ყიჟინასა და ოვაციებს საზღვარი არ ჰქონდა, სიურპრიზი გამოგვივიდა. შეხვედრა, ასე ვთქვათ, ორი ნაწილისაგან შედგებოდა: პირველი ნაწილი პრესკონფერენციას დაეთმო, სადაც ლიკამ კითხვის დასმის საშუალება ყველა მოსწავლეს მისცა. როგორც გამოჩნდა, აქტუალობას არ კარგავდა ტელეპროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“. მით უფრო იმ ფონზე, რომ მეორე სეზონი მიმდინარეობდა ტელევიზიით. აქტიურობით თავი გამოიჩინეს: ამირან ტორონჯაძემ, თიკო ნაბორაშვილმა, ხატია ბაშარულმა, ლექსო სიფრაშვილმა, ლუკა რაზმაძემ, შამილი პირველმა, სანდრო დავითურმა, ანა ფეიქრიშვილმა, მარიამ შერმადინმა. ლიკა აღფრთოვანებული დარჩა ბავშვებით. „ნამდვილი ჟურნალისტები არიან“, – აღნიშნა მან. ერთი საათი ისე მიიწურა, პრესკონფერენცია ინტერესს არ კარგავდა. თუმცა, შემდეგი საათი კიდევ უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა ბავშვებისთვის – დისკოთეკა „ჩვენ ვსწავლობთ ცეკვას“. ლიკამ ყველა – ბიჭი-გოგო – ერთად განალაგა და ჯერ ერთგვარი მოთელვა ჩაატარა, თითქოს მათი ძალები მოსინჯაო. აი, შემდეგ კი, ჩართო რიტმული მუსიკა და ბავშვებმა ცეკვა დაიწყეს. გოგონები უფრო „გამძლენი“ და „აზარტულები“ აღმოჩნდნენ. ბიჭებს ტემპის აღება გაუჭირდათ, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდნენ...

შემდეგ სცენა პატარ-პატარა ჯგუფებს ეთმობოდა, ლიკა აკონტროლებდა ბავშვების მოძრაობას, აქებდა მათ და ახალისებდა – შესანიშნავი მასწავლებელი აღმოჩნდა. როგორც ხედავთ, ღონისძიებების ციკლი ჩემს სადამრიგებლო კლასში უფრო და უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ხდებოდა. ჩნდებოდა სურვილები და იბადებოდა იდეები. ასეთმა შეხვედრებმა კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ არაფერია შეუძლებელი, თუკი თანამშრომლობ მოსწავლეებთან, მშობლებთან (მშობელთა საბჭო ერთგულად, ენერგიულად ემსახურება კლასის, ზოგადად, სკოლის ინტერესებს). ასეთ შემთხვევაში, ის სამკუთხედი, რომელსაც ქმნის მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი, არასოდეს დაირღვევა. სადამრიგებლო საათის მიზანიც გამოიკვეთა – რა ცოდნა, უნარ-ჩვევები უნდა განუვითარდეს მოსწავლეებს (კულტურული ჩვევების შეძენა, მაყურებლის აღზრდა, გონივრული გართობა, ბალეტის ისტორიის გაცნობა, თეატრალური სამყაროს შემეცნება, თავდაჯერებულობა, სტუმარ-მასპინძლობის წესი, ესთეტიკური გარემოს შექმნა, ჟურნალისტიკის ანაბანას შესწავლა...). მოხდა მოსწავლეების მხრიდან თვითშეფასება: რა იყო კარგი? საინტერესო? რა დამამახსოვრდა ყველაზე მეტად? და ა.შ. ამ დღით ყველა მადლიერი და კმაყოფილი დარჩა. დამშვიდობებისას ლიკამ ჩვენი კლასის შთაბეჭდილებების წიგნში „სტუმრის თვალით... “ ჩაწერა: *„$VII^1$ კლასს ვუსურვებ შრომის, სწავლის სიყვარულს. ყველა სურვილი, რასაც ჩაიფიქრებთ, მუშაობით, შრომით აგსრულებოდეთ. ნიჭიერება ღმერთმა ყველას დაგანათლათ, ასე რომ, გამოიყენეთ შანსი. მჯერა, ქეთინო მასწავლებლის ხელში ყველა დიდ წარმატებას მიაღწევთ. მუდამ თქვენთან ვარ! “.*

მადლობას ვუხდი ლიკა ლაბაძეს, იგი ძალიან დამეხმარა, რომ ჩემს პატარებს ხელოვნების სამყაროში ასე ბუნებრივად და საინტერესოდ ემოგზაურათ.





**ქეთევან მუმლაძე**

***№143 საჯარო სკოლის $VII^1$ კლასის ხელმძღვანელი***

# როგორ მოვემზადოთ 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის

# ინგლისური ენა

## ზოგადი რეკომენდაციები

ინგლისური ენის ტესტი ამოწმებს აბიტურიენტის კითხვისა და წერის უნარებსა და ლექსიკურ-გრამატიკულ კომპეტენციას. ტესტური მასალის სირთულის დონე განისაზღვრა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების შეჯერების შედეგად. გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ თითოეული ტესტური დავალების აღწერილობა და თანმხლები მეთოდური რეკომენდაციები, ასევე მაქსიმალური სიზუსტით დაიცვათ დავალებების სწორად შესრულების მოთხოვნები; გაითვალისწინეთ ასევე ტესტის შესასრულებლად მოცემული დრო.

ტესტის 1-5 დავალებები დახურული სახისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სწორი პასუხი პასუხების ფურცლის სათანადო გრაფაში უნდა აღნიშნოთ (ჯვარედინად გადახაზოთ). მე-6, მე-7 და მე-8 დავალებები ღია სახის დავალებებია, რაც იმას ნიშნავს, რომ პასუხების ფურცელში უნდა ჩაწეროთ მხოლოდ თქვენი პასუხი. გახსოვდეთ, რომ ტესტიდან ზედმეტი სიტყვის ან სიტყვების პასუხების ფურცელში გადატანის შემთხვევაში დაგაკლდებათ ქულა.

ყურადღებით გაეცანით კრებულში მოცემულ საგამოცდო პროგრამას. ტესტის დავალებები და საკითხები ცოდნის მხოლოდ და მხოლოდ იმ მოცულობას (გრამატიკა, ლექსიკა, ენობრივი უნარები) ამოწმებს, რომელსაც საგამოცდო პროგრამა ითვალისწინებს. პროგრამით გათვალისწინებული გრამატიკული საკითხები მოამზადეთ როგორც სკოლის, ასევე სხვა ნებისმიერი სახელმძღვანელოდან. გააკეთეთ, რაც შეიძლება ბევრი გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშო.

იმუშავეთ კრებულში მოცემულ ტესტის ნიმუშზე. ყურადღებით წაიკითხეთ და ზუსტად შეასრულეთ დავალების მოთხოვნები. მუშაობისას დროს ნუ გაწელავთ. ივარჯიშეთ სავარჯიშოების სწრაფად შესრულებაში. ყოველი დავალების შესრულების შემდეგ თქვენი პასუხები შეადარეთ ჩვენს მიერ მოცემულ პასუხებს. არასწორი პასუხის შემთხვევაში გაიაზრეთ შეცდომა და გარკვეული პერიოდის შემდეგ, იგივე სავარჯიშო ხელახლა შეასრულეთ.

ბევრი იკითხეთ ინგლისურად. ეს შეიძლება იყოს ორიგინალური ან ადაპტირებული მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტები, განცხადებები, რეკლამები, ჟურნალ-გაზეთები, მასალა ინტერნეტში – ყველაფერი, რაც ხელში ჩაგივარდებათ. კითხვის დროს ყურადღება გაამახვილეთ როგორც ტექსტში მოცემულ ფაქტებზე და დეტალებზე, ასევე ტექსტის დედააზრზე. გახსოვდეთ, რომ ბევრი კითხვა გამოცდის კარგად ჩაბარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სისტემატურად წერეთ მცირე ზომის ტექსტები. ეს შეიძლება იყოს წერილები, ელწერილები (email), ან სულაც დღიურები. გაეცანით კრებულში მოცემული თხზულების შეფასების სქემას და წერისას გაითვალისწინეთ მასში მოცემული მოთხოვნები.

იმუშავეთ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გასულ წლებში გამოქვეყნებულ კრებულებში მოცემულ ტესტურ დავალებებზე..

**პასუხების ფურცელში ზუსტად და აკურატულად მონიშნეთ (ჯვარედინად გადახაზეთ) თქვენი პასუხის შესაბამისი გრაფა. მე-6 და მე-7 დავალების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ მხოლოდ თქვენ მიერ დაწერილი პასუხი. მე-8 დავალების შესრულებისას რეკომენდებულია თხზულების ჯერ შავად დაწერა, ტესტურ ბუკლეტში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, და შემდეგ მისი გადათეთრება პასუხების ფურცელში.**

**გახსოვდეთ, რომ გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.**

**დაიტოვეთ დრო პასუხების ფურცელზე თქვენი პასუხების გადასატანად.**

## საგამოცდო პროგრამა

**აბიტურიენტს უნდა შეეძლოს:**

- წაიკითხოს საშუალო სირთულის ორიგინალური ან ადაპტირებული ტექსტი – ინფორმაციული, მხატვრული, შემეცნებითი; განცხადება, რეკლამა, წერილი და გაიაზროს მისი შინაარსი.
- ტექსტის კითხვისას ყურადღება გაამახვილოს:
  - ძირითად შინაარსზე.
  - ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტობრივ მასალაზე, როგორიცაა: საკუთარი სახელები, თარიღები, ფაქტები.
  - სტრიქონებს შორის ნაგულისხმევ იმპლიციტურ ინფორმაციაზე.
  - კონტექსტის გათვალისწინებით გამოტოვებულ ადგილებში ჩასვას საჭირო სიტყვები (ლექსიკის და გრამატიკის შემოწმება კითხვის უნარ-ჩვევის საშუალებით).
- კონტექსტის გათვალისწინებით ზმნები ან ფორმაცვალებადი სხვა სიტყვები ჩასვას შესაბამის ფორმაში.
- დაწეროს მოკლე თხზულება მოცემულ თემაზე (120-150 სიტყვა).

**ტესტის წარმატებით შესრულებისთვის აუცილებელია, რომ აბიტურიენტმა**

- ზუსტად დაიცვას ტესტური დავალებების მოთხოვნები; შეასრულოს დავალება ისე, როგორც ეს მაგალითშია ნაჩვენები.

## ინგლისური ენა

საგამოცდო პროგრამა მოიცავს ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ მასალას. გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნა მოწმდება კითხვითი და წერითი დავალებებით. მაგალითად, ლექსიკის ცოდნა მოწმდება კითხვის უნარ-ჩვევის შესამოწმებელი სავარჯიშოების საშუალებით, გრამატიკის ცოდნა კი – წერითი სავარჯიშოებით. მოსმენისა და მეტყველების უნარ-ჩვევების შემოწმება ამ ეტაპზე არ ხდება. საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული ენის ასპექტების, ლექსიკისა და ენობრივი უნარ-ჩვევების დეტალური აღწერა შემდეგია:

### გრამატიკა

*მორფოლოგია*

- არსებითი სახელი: კონკრეტული და აბსტრაქტული, თვლადი და უთვლადი, კრებითი; არსებითი სახელის რიცხვი და ბრუნვა.
- არტიკლი: განსაზღვრული და განუსაზღვრელი; არტიკლების გამოყენების ძირითადი წესები; ნულოვანი არტიკლი.
- ზედსართავი სახელი: შედარების ხარისხები; not so/as ..... as.
- რიცხვითი სახელი: რაოდენობითი და რიგობითი; მარტივი და რთული.
- ნაცვალსახელი: პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი, კითხვითი, უკუქცევითი, ემფატური, მიმართებითი, განუსაზღვრელობითი, ურთიერთობითი.
- ზმნა: პირიანი და უპირო; გარდამავალი და გარდაუვალი; წესიერი და არაწესიერი; სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე; ზმნის ოთხი ფორმა.
- ზმნის დროები აქტიურ გვარში: Present, Past, Future Simple; Present, Past, Future Continuous; Present, Past, Future Perfect; Present, Past Perfect Continuous; Future in the Past.
- ზმნის დროები პასიურ გვარში: Present, Past, Future Simple; Present, Past, Continuous; Present, Past Perfect.
- ზმნის უპირო ფორმები: ინფინიტივის, გერუნდივის, აწმყო და წარსული დროის მიმღეობების მარტივი ფორმები.
- მოდალური ზმნები და ეკვივალენტები: can, could, be able to; may, might; must, have to, be to; should; would.
- ზმნიზედა: დროის, ადგილის, ვითარების, ხარისხის, სიხშირის; ზმნიზედის შედარების ხარისხები.
- წინდებული: in, on, at, by, about, behind, of, from, after, before, under, through, above და ა.შ.
- კავშირები და მაკავშირებელი სიტყვები: and, if, or, but, that, who, what, which, how, whether, though და ა.შ.
- კონსტრუქციები: there is / there are; it is; be going to; used to ტიპისა.

### სინტაქსი

- თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები.
- მარტივი და შერწყმული წინადადებები.
- რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებები.
- პირობითი წინადადებები: რეალური პირობითი წინადადება (Conditional 1): If I see him, I will talk to him ტიპისა, და არარეალური პირობითი წინადადება (Conditional 2): If I saw him, I would talk to him / If I were you, I would do it ტიპისა.
- კითხვითი წინადადებები: Yes/No questions (*Is he here?*); Wh-questions (*Where is it?*) და Tag- questions (*You like it, don't you?*).
- წინადადებები, რომლებიც შეიცავენ I want you to do it, I saw him dancing, let me do, makes me feel ტიპის რთულ დამატებებს.
- პირდაპირი და ირიბი თქმა. დროთა თანამიმდევრობა.
- უპირო წინადადებები.

### ლექსიკა

- ენობრივი კომპეტენციის B1 დონის ლექსიკა.
- სიტყვაწარმოება: მარტივი პრეფიქსები (dis-, un-, in-, im-) და სუფიქსები (-er/-or, -sion, -tion, -ity, -ic, -al, -ous).
- შედგენილი არსებითი და ზედსართავი სახელები sunflower, home-made ტიპისა.
- ფრაზული ზმნები: bring up, get up, look for, look after, see off, switch on, run into, think over ტიპისა.

## საგამოცდო ტესტის სტრუქტურა

საგამოცდო ტესტი 8 დავალებისაგან შედგება. პირველი ხუთი დავალება კითხვის უნარსა და ლექსიკას ამოწმებს, ხოლო დანარჩენი სამი – წერის უნარსა და გრამატიკას. ტესტში 71 საკითხია. სირთულის მიხედვით თითოეული საკითხი ფასდება ერთი ან ორი ქულით. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მე-8 დავალებისათვის, რომელიც აბიტურიენტისაგან მოკლე თხზულების დაწერას მოითხოვს, არის 16. მთელი ტესტის მაქსიმალური ქულაა 100.

ქვემოთ სქემის სახით მოცემულია ტესტის სტრუქტურა, დავალებათა ტიპები და ქულათა გადანაწილება დავალებების მიხედვით.

| N | რა უნარ-ჩვევა ან რა ენობრივი ასპექტი მოწმდება | დავალების ტიპი | საკითხების რაოდენობა | ქულა სწორი პასუხისათვის | მაქსიმალური ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | წაკითხულის გააზრება | მიუსადაგეთ განცხადებებს შესაბამისი წინადადებები. | 12 | 1 | 12 |
| 2 | წაკითხულის გააზრება | განსაზღვრეთ სწორია წინადადება თუ მცდარი. | 12 | 1 | 12 |
| 3 | წაკითხულის გააზრება | აბზაცებს მიუსადაგეთ შესატყვისი სათაურები | 6 | 2 | 12 |
| 4 | წაკითხულის გააზრება | განსაზღვრეთ, თუ რომელი წინადადება შეესაბამება ტექსტში მოცემულ ინფორმაციას. | 8 | 1 | 8 |
| 5 | კონტექსტუალური ლექსიკა | გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით შესაბამისი სიტყვა. | 12 | 1 | 12 |
| 6 | გრამატიკა | ტექსტის გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით შესაბამისი სიტყვა. | 12 | 1 | 12 |
| 7 | კონტექსტუალური გრამატიკა | ჩასვით სიტყვები სწორ ფორმაში. | 16 | 1 | 16 |
| 8 | წერა | დაწერეთ 120-150 სიტყვიანი თხზულება. | 1 | | 16 |
| ჯამი | | | 79 | | 100 |

## დავალებების დეტალური აღწერა და რეკომენდაციები

დეტალურად განვიხილოთ თითოეული დავალება, განვსაზღვროთ მათი მოცულობა და შინაარსი, დავადგინოთ, თუ რას და როგორ ამოწმებს თითოეული მათგანი. ასევე განვსაზღვროთ, თუ რა არის საჭირო ტესტის ტექნიკურად სწორად შესრულებისათვის. ყოველივე ეს ტესტისთვის გამოყოფილი დროის ეფექტიანად გამოყენებაში დაგეხმარებათ. ყურადღება მიაქციეთ დავალებების წინ მოცემულ ინსტრუქციებს. ტესტის წარმატებული შესრულებისათვის აუცილებელია ამ ინსტრუქციების შესრულება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ აბიტურიენტმა სწორად და სრულად გაიაზროს ის, თუ კონკრეტულად რის გაკეთებას ითხოვს ცალკეული დავალება.

საგამოცდო ტესტში დავალებების ინსტრუქციები მოცემული იქნება მხოლოდ ინგლისურ ენაზე.

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ ტესტის სწორად შესრულებისთვის აუცილებელი ტექნიკური და მეთოდური სახის რეკომენდაციები. ასევე გთხოვთ, ზუსტად დაიცვათ დავალების მოთხოვნა და პასუხების ფურცელში ყურადღებით აღნიშნოთ (ჯვარედინად გადახაზოთ) თქვენი პასუხის შესაბამისი გრაფა. ტექნიკურად არასწორად შესრულებული დავალება, გაურკვევლად აღნიშნული ან უხეშად გადასწორებული პასუხი შეცდომად ჩაითვლება. პასუხის შეცვლა გამსწორებლისთვის მისაღები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეცდომით აღნიშნულ გრაფას მთლიანად გააშავებთ და ახალ გრაფას აღნიშნავთ. შეცდომად ჩაითვლება პასუხების ფურცელში ტექნიკურად არასწორად აღნიშნული პასუხი.**

→ 6

# ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2013

### დავალება 1

დავალებაში მოცემულია ერთი, ორი ან სამი თემის ქვეშ გაერთიანებული რვა განცხადება ან რეკლამა. თემა შეიძლება იყოს გამოფენა, სპექტაკლი, ფილმი, სატელევიზიო პროგრამა, წიგნი და სხვა. ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია რეალური, მაგრამ ნაწილობრივ ადაპტირებული განცხადებები. განცხადებებს ერთვის 12 წინადადება. უნდა წაიკითხოთ წინადადებები და მოძებნოთ ის განცხადება, რომელიც ამ წინადადებაში მოცემულ ინფორმაციას შეესაბამება. პასუხების ფურცელზე უნდა მონიშნოთ შესაბამისი გრაფა. საკითხების რაოდენობა არის 12. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. ამ დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 12.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

სწრაფად გადაიკითხეთ განცხადებები. გაიაზრეთ მათში მოცემული თემატიკა.

წაიკითხეთ წინადადებები და განცხადებებში მოძებნეთ ის ადგილი, რომელიც წინადადებაში მოცემულ სიტუაციას შეესაბამება.

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ თითოეულ განცხადებას ერთი ან ერთზე მეტი წინადადება მიესადაგება.

### დავალება 2

დავალებაში მოცემულია ერთი ინფორმაციული, ბიოგრაფიული ან შემეცნებითი ხასიათის ტექსტი. ტექსტს მოსდევს 12 წინადადება, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ტექსტში მოცემული ინფორმაციის გამარტივებული პერიფრაზია. თქვენ მოგეთხოვებათ რომ, დაადგინოთ თუ რამდენად ემთხვევა წინადადებებში მოცემული ინფორმაცია ტექსტისას. საკითხების რაოდენობაა 12. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. ტესტის ამ დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 12.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

გადაიკითხეთ ტექსტი. გაამახვილეთ ყურადღება როგორც მასში მოცემულ თემატიკაზე ზოგადად (რის შესახებ არის ტექსტი), ასევე კონკრეტულ ფაქტებზე, სახელებსა და მოვლენებზე.

ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტის შემდეგ მოცემული წინადადებები. შეეცადეთ, მოძებნოთ ტექსტში ის ადგილი, სადაც იგივე საკითხზეა საუბარი. დაადგინეთ წინადადებაში მოცემული ინფორმაცია ემთხვევა თუ არა ტექსტისას.

შესაძლოა ტექსტში შეგხვდეთ არაპროგრამული სიტყვები. ასეთი სიტყვების მნიშვნელობის გაგება შესაძლებელია კონტექსტის საშუალებით. ზოგ შემთხვევაში ტექსტის ბოლოს მოცემულია მათი ქართული თარგმანი. ასეთი სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა, როგორც წესი, არ მოწმდება.

### დავალება 3

დავალებაში მოცემულია ერთი ტექსტი. იგი ბიოგრაფიული ან შემეცნებითი ხასიათისაა. ტექსტი დაყოფილია 6 აბზაცად. ტექსტამდე მოცემულია აბზაცების შესაძლო დასათაურებების ჩამონათვალი. ორი სათაური ზედმეტია. ტექსტი წაიკითხეთ ყურადღებით და შეეცადეთ თითოეულ აბზაცს შესაბამისი სათაური მიუსადაგოთ. ორი სათაური ზედმეტია. საკითხების რაოდენობაა 6. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 2 ქულით. ტესტის ამ დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 12.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი. გაამახვილეთ ყურადღება მის როგორც მთლიან შინაარსზე, ასევე ცალკეულ დეტალებზე. შეეცადეთ, გაიაზროთ თითოეული აბზაცის ძირითადი აზრი. წაიკითხეთ სათაურების ჩამონათვალი და შეეცადეთ დაუკავშიროთ ისინი აბზაცების შინაარსს.

გადაწყვეტილების მიღებას ნუ იჩქარებთ. ცალკეული აბზაცები და სათაურები რამდენიმეჯერ გადაიკითხეთ. შეეცადეთ, თითოეულ აბზაცს ის სათაური მიუსადაგოთ, რომელიც ყველაზე კარგად გადმოსცემს აბზაცის შინაარსს.

შესაძლოა ტექსტში შეგხვდეთ არაპროგრამული სიტყვები. ასეთი სიტყვების მნიშვნელობის გაგება შესაძლებელია კონტექსტიდან გამომდინარე. ზოგ შემთხვევაში მოცემულია მათი ქართული თარგმანი. ასეთი სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა, როგორც წესი, არ მოწმდება.

### დავალება 4

ტექსტი შეიძლება იყოს წერილი, ნაწყვეტი დღიურიდან ან პირველ პირში მონათხრობი ამბავი. მასში ჩანს ავტორის პირადი განწყობა, სურვილები, მიზნები და ა.შ. ტექსტს მოსდევს არჩევითი ტიპის 8 შეკითხვა ან დებულება. 4 შესაძლო არჩევითი კითხვიდან უნდა აღნიშნოთ ის პასუხი, რომელიც ტექსტის შინაარსს შეესაბამება. საკითხების რაოდენობაა 8. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. ტესტის ამ დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 8.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი. გაამახვილეთ ყურადღება მის როგორც ზოგად შინაარსზე, ასევე ცალკეულ დეტალებზე. შეეცადეთ გაიაზროთ ტექსტის დედააზრი, ავტორისეული მოსაზრება, სურვილები და ვარაუდები, ასევე მისი განწყობა მონათხრობის მიმართ.

წაიკითხეთ ტექსტის შემდეგ მოცემული შეკითხვა ან დებულება და 4 არჩევითი შესაძლო პასუხი. პასუხების ფურცელზე აღნიშნეთ ის პასუხი – A, B, C ან D, რომელიც, თქვენი აზრით, ტექსტში მოცემულ ინფორმაციას შეესაბამება.

გადაწყვეტილების მიღებას ნუ იჩქარებთ. შეკითხვები და ტექსტი რამდენიმეჯერ გადაიკითხეთ. შეეცადეთ, თითოეული შემთხვევისთვის ტექსტში მოძებნოთ პასუხის დამადასტურებელი ინფორმაცია.

შესაძლოა ტექსტში შეგხვდეთ არაპროგრამული სიტყვები. ასეთი სიტყვების მნიშვნელობის გაგება შესაძლებელია კონტექსტიდან გამომდინარე. ზოგ შემთხვევაში მოცემულია მათი ქართული თარგმანი.

### დავალება 5

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც 12 სიტყვაა გამოტოვებული. სიტყვები სრულმნიშვნელოვანია. ორი სიტყვა ზედმეტია. ყოველ სიტყვას ახლავს პირობითი ასო, მაგ.: time (A), come (B), also (C). პასუხების ფურცელზე გადადის არა სიტყვა, არამედ აღინიშნება ამ სიტყვის შესამამისი ასოს გრაფა. ყოველ გამოტოვებულ ადგილას უნდა ჩასვათ ერთი სიტყვა; თითოეული სიტყვა მხოლოდ ერთხელ უნდა გამოიყენოთ. გახსოვდეთ, რომ სიტყვების ჩამონათვალში ორი სიტყვა ზედმეტია. კონტექსტი ყოველი კონკრეტული სიტუაციის შესაფერისი სწორი სიტყვის შერჩევაში გეხმარებათ. ამგვარად, ლექსიკის ცოდნა მოწმდება ტექსტის მთლიან კონტექსტზე დაყრდნობით და არა იზოლირებულად. საკითხების რაოდენობაა 12. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. ტესტის ამ დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 12.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

ვიდრე სიტყვების ჩასმას დაიწყებდეთ, ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი. შეეცადეთ, გაიგოთ რაზეა მასში საუბარი და როგორია მთლიანი ტექსტის კონტექსტი. ამავე დროს შეეცადეთ კარგად გაიგოთ იმ წინადადების შინაარსი, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვა.

წაიკითხეთ ტექსტამდე მოცემული სიტყვები. შემდეგ ტექსტი ისევ გადაიკითხეთ და შეეცადეთ გამოტოვებული ადგილები სიტყვებით სწორად შეავსოთ. სწორი არჩევანის გაკეთებაში გრამატიკის ცოდნაც დაგეხმარებათ. თუ მიხვდებით, რომელი მეტყველების ნაწილია გამოტოვებული (ზმნა, არსებითი თუ ზედსართავი), მაშინ სწორი სიტყვის პოვნა გაცილებით უფრო ადვილი გახდება.

### დავალება 6

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც გამოტოვებულია გრამატიკული მნიშვნელობის მქონე 12 სიტყვა. ეს სიტყვები შეიძლება იყოს წინდებული, არტიკლი, დამხმარე ზმნა, კავშირი ან მაკავშირებელი სიტყვა. კონტექსტზე დაყრდნობით გამოტოვებულ ადგილას უნდა ჩაწეროთ შესაბამისი სიტყვა. გაითვალისწინეთ, რომ გამოტოვებულ ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა! გაითვალისწინეთ, რომ **პასუხების ფურცელში უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა! წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხი შეცდომად ჩაითვლება** (მაგ. როდესაც აბიტურიენტს ტექსტიდან მექანიკურად აქვს გადმოწერილი მომიჯნავე სიტყვები ან მთლიანი წინადადება). საკითხების რაოდენობა არის 12. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. ამ დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 12.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

ვიდრე სიტყვების ჩასმას დაიწყებდეთ, ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი. შეეცადეთ, გაიგოთ რაზეა მასში საუბარი და როგორია მთლიანი ტექსტის კონტექსტი. ამავე დროს, შეეცადეთ კარგად გაიგოთ იმ წინადადების შინაარსი, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვა.

### დავალება 7

დავალებაში მოცემულია ერთი შედარებით დიდი (ან ორი მომცრო) ტექსტი. ტექსტში გამოტოვებულია 16 ზმნა. გამოტოვებული ადგილის გვერდით, ფრჩხილებში მოცემულია ზმნა საწყის ფორმაში. უნდა წაიკითხოთ ტექსტი და საერთო კონტექსტის გათვალისწინებით ფრჩხილებში მოცემული ზმნა ჩასვათ სწორ გრამატიკულ ფორმაში. სწორ პასუხად ითვლება ის ზმნა, რომელიც სწორია როგორც გრამატიკულად, ასევე ორთოგრაფიულად. **პასუხების ფურცელში უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ზმნის შესაბამისი ფორმა. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხი შეცდომად ჩაითვლება** (მაგ. როდესაც აბიტურიენტს ტექსტიდან მექანიკურად აქვს გადმოწერილი მომიჯნავე სიტყვები ან მთლიანი წინადადება), ტესტის ამ დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 16.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

ვიდრე ზმნას შესამაბის ფორმაში ჩასვამდეთ, ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი. შეეცადეთ, გაიგოთ რის შესახებ არის საუბარი. დავალების სწორად შესასრულებლად აუცილებელია გაიგოთ მთლიანი ტექსტის შინაარსი. შეეცადეთ, ასევე კარგად გაიაზროთ იმ წინადადების შინაარსი, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვა.

### დავალება 8

დავალება ამოწმებს აზრის წერილობითი სახით გადმოცემის უნარს. მოგეთხოვებათ 120-150-სიტყვიანი თხზულების დაწერა. თხზულებაში უნდა ჩანდეს თქვენი უნარი მკაფიოდ და გასაგებად უპასუხოთ დასმულ საკითხს, გამოიყენოთ მოთხოვნის შესაბამისი ლექსიკა, წინადადებები ლოგიკურად დაუკავშიროთ ერთმანეთს, გამოხატოთ საკუთარი მოსაზრება და დაასაბუთოთ იგი მაგალითებით და ფაქტებით. ასევე მოწმდება ლექსიკისა და გრამატიკული წესების ცოდნა. ნაწერი ფასდება ორი კრიტერიუმით: აზრის ლოგიკურად და თანმიმდევრულად გადმოცემა (fluency) და გრამატიკულ-ლექსიკურ-ორთოგრაფიული სიზუსტე (accuracy). დავალების მაქსიმალური ქულაა – 16.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

ყურადღებით წაიკითხეთ თემის სათაური. შეეცადეთ კარგად გაიგოთ, რას მოითხოვენ თქვენგან.

დაფიქრდით და ჩამოაყალიბეთ საკუთარი აზრი დასმულ საკითხთან დაკავშირებით. გაიხსენეთ 1-2 ისეთი ფაქტი ან მაგალითი, რომელიც თქვენს აზრს დაასაბუთებს. ეს ყველაფერი შავ ფურცელზე ჩამოწერეთ.

ნუ დაწერთ ზედმეტ ან განმეორებით ინფორმაციას. ეცადეთ, აზრი მკაფიოდ და ნათლად ჩამოაყალიბოთ.

წერისას გამოიყენეთ თქვენთვის ნაცნობი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციები. შეეცადეთ, რომ ნაწერი ძალიან მარტივი არ იყოს. სანამ გადაათეთრებთ, ნაწერი გადაიკითხეთ და გაასწორეთ შეცდომები.

წერეთ გარკვევით და სუფთად. დაიცავით აბზაცები. წინადადებები დაიწყეთ დიდი ასოთი. გაითვალისწინეთ, რომ არტიკლები, ნაწილაკები და წინდებულები ცალკე სიტყვებად ითვლება.

თხზულების დასაწერად გეძლევათ ერთი გვერდი შავი სამუშაოსათვის და ერთი გვერდი საბოლოო ვარიანტისთვის. სწორდება ნაწერის მხოლოდ საბოლოო ვარიანტი, რომელიც პასუხების ფურცელზე უნდა იყოს გადატანილი.

დაბალი ქულით (4-3 ქულა და ქვევით) ფასდება ის ნაწერი, რომელიც ნაწილობრივ პასუხობს დავალებას. მაგ., როდესაც მოცემული თემის შესახებ აბიტურიენტი მხოლოდ ზოგად ინფორმაციას იძლევა, არ ჩანს მისი მოსაზრებები, პოზიცია, დამოკიდებულება დასმულ საკითხთან დაკავშირებით. დაბალი ქულით ფასდება ასევე ის ნაწერი, რომელიც 100 სიტყვაზე ნაკლებია. ნულით ფასდება ის ნაწერი, რომელიც არ პასუხობს დავალებას. მაგ.: როდესაც მოცემული თემის ნაცვლად აბიტურიენტი წერს სხვა, სავარაუდოდ, წინასწარ მომზადებულ და დაზეპირებულ თემას. ნულით ფასდება ასევე ის ნაწერი, რომელშიც მითითებულია აბიტურიენტის სახელი და გვარი.

## პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია

აბიტურიენტი ვალდებულია პასუხები გადაიტანოს პასუხების სპეციალურ ფურცელზე. გასწორდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცელი. 1-5 დავალება გასწორდება ელექტრონული პროგრამის მიერ, რაც კიდევ უფრო აამაღლებს გასწორების ობიექტურობის ხარისხს. ტესტის 1-5 დავალებები დახურული სახისაა, ამიტომ აბიტურიენტმა პასუხების ფურცელზე უნდა მოძებნოს დავალების შესაბამისი ნომერი. ხოლო ამ ნომრის ქვეშ (ან გასწვრივ) მოცემულ უჯრებში X-ით აღნიშნოს მის მიერ არჩეული პასუხი.

ნიმუში




მაგალითად, თუ მე-5 საკითხის პასუხად აირჩიეთ პასუხის (A) ვარიანტი, მაშინ პასუხების ფურცელზე უნდა მოძებნოთ მე-5 საკითხის დავალების სვეტი და ამ სვეტში, პასუხის (A) ვარიანტის შესაბამის უჯრაში დასვათ X ნიშანი. (იხ. ნიმუში).

□ პასუხის მონიშვნისას გამოიყენეთ მხოლოდ ის კალმისტარი, რომელიც გადმოგეცემათ

CMYK

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ.

- პასუხის მონიშვნისას საკითხის ნომერი უნდა ემთხვეოდეს იმ სვეტის ნომერს, რომელშიც სვამთ X ნიშანს.
- თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა – ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება და შესაბამისად შეფასდება 0 ქულით.
- დასაშვებია, რომ X ნიშანი გამოსცდეს თეთრ უჯრას (იხ. ნიმუში), მაგრამ იგი არ უნდა იყოს უჯრაზე მოკლე.
- თითოეული საკითხის შესაბამის სვეტში უნდა მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი, ანუ მხოლოდ ერთ უჯრაში დასვათ X ნიშანი. თუ სვეტში ერთზე მეტ X ნიშანს დასვამთ, ამ საკითხის არც ერთი პასუხი არ ჩაითვლება სწორად.
- თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). ელექტრონული პროგრამა არჩეულ პასუხად მხოლოდ X ნიშნიან უჯრას აღიქვამს (იხ. ნიმუში, საკითხები 2 და 4).
- შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ (ანუ ის პასუხი, რომლის შესაბამისი უჯრა უკვე მთლიანად გააფერადეთ). ამიტომ გადასწორების წინ დაფიქრება გმართებთ.
- პასუხების აღნიშვნისთვის არ არის გამოყოფილი დამატებითი დრო. ასე რომ, დროულად მონიშნეთ არჩეული პასუხები შესაბამის უჯრებში.

მე-8 დავალება გასწორდება სპეციალური სქემის მიხედვით. სქემა ორ კრიტერიუმს ითვალისწინებს: 1) აზრის თანამიმდევრულად და ლოგიკურად გადმოცემის უნარი (fluency/task fulfillment); 2) ლექსიკურ-გრამატიკულ-ორთოგრაფიული სიზუსტე (accuracy). თითოეული კრიტერიუმის მაქსიმალური ქულაა 8, მთლიანად ამ დავალების კი – 16. **თუ ნაწერის შინაარსი არ პასუხობს დავალების პირობას, ის არ სწორდება და ფასდება ნული ქულით.**

მეექვსე, მეშვიდე და მერვე დავალებებს ასწორებს ორი გამსწორებელი. გამსწორებლები მუშაობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ტესტის გასწორებისას ისინი ხელმძღვანელობენ წინასწარ შემუშავებული შეფასების უნიფიცირებული სქემით.

**თხზულების (მე-8 დავალების) შეფასების სქემა**

| ქულა | როგორ პასუხობს ნაწერი მოცემულ დავალებას; არის თუ არა აზრი გადმოცემული თანმიმდევრულად (fluency /task fulfillment) | როგორ არის დაცული გრამატიკულ-ლექსიკური სიზუსტე. ასევე სიზუსტე მართლწერასა და პუნქტუაციაში (accuracy) | ქულა |
|---|---|---|---|
| 8-7 | - ნაწერი ძალიან კარგია. იგი სრულყოფილად პასუხობს დავალებას.<br>- აზრი მკაფიოდ და გასაგებად არის გადმოცემული. გამყარებულია მაგალითებით და პირადი მოსაზრებებით.<br>- ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ლოგიკურია. | - გრამატიკული შეცდომების რაოდენობა 4-ს არ აღემატება. გამოყენებულია რთული წინადადებები და კონსტრუქციები.<br>- ლექსიკა მდიდარია.<br>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები უმნიშვნელოა. | 8-7 |
| 6-5 | -ნაწერი კარგია, პასუხობს დავალებას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ზედმეტი ან, პირიქით, არასაკმარისი ინფორმაციაა მოცემული.<br>- აზრი ძირითადად კარგად არის გადმოცემული. ჩანს პირადი მოსაზრება და/ან მოყვანილია მაგალითი.<br>- ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ძირითადად ლოგიკურია, თუმცა ზოგ შემთხვევაში მკითხველს ყურადღების დაძაბვა უხდება. | - დაშვებულია 5-7 გრამატიკული შეცდომა, არასწორი სინტაქსური სტრუქტურების ჩათვლით, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ძირითადი აზრის გაგებას.<br>- ლექსიკა დავალებისა და მოთხოვნის შესატყვისია.<br>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები ძირითადად ხელს არ უშლის აზრის გაგებას. | 6-5 |
| 4-3 | - ნაწერი საშუალო დონისაა. აზრი ძირითადად გასაგებია, თუმცა ზოგ შემთხვევაში აზრის მიყოლა ჭირს. ინფორმაცია ზოგადია, დებულებები მეორდება.<br>- წინადადებები ერთმანეთს ლოგიკურად ცუდად უკავშირდება. პირადი მოსაზრება მკაფიოდ არ ჩანს.<br>ან: ნაწერი 100 სიტყვაზე ნაკლებია, შესაბამისად შეცდომების რაოდენობა ნაკლებია. | - დაშვებულია 8-10 გრამატიკული შეცდომა. გამოყენებულია მეტისმეტად მარტივი და/ან არასწორი სინტაქსური სტრუქტურები.<br>- ლექსიკა საკმაოდ მარტივი და შეზღუდულია.<br>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებულ შეცდომებს სისტემური ხასიათი აქვს, რაც, ზოგ შემთხვევაში, ხელს უშლის აზრის გაგებას. | 4-3 |
| 2-1 | - ნაწერი (ძალიან) სუსტია. ინფორმაცია ზოგადი და მწირია. აზრის გაგება, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია.<br>ან: ნაწერი 50 სიტყვაზე ნაკლებია/დაწერილია რამდენიმე წინადადება. | - დაშვებულია 10-ზე მეტი გრამატიკული შეცდომა. წინადადებები სტრუქტურულად გაუმართავია.<br>- ლექსიკა ძალზე მარტივი და შეუსაბამოა.<br>- მჟღავნდება მართლწერისა და პუნქტუაციის წესების სუსტი ცოდნა. | 2-1 |
| 0 | ფურცელი ცარიელია ან დაწერილია მხოლოდ ერთი წინადადება ან ნაწერი არ პასუხობს დავალებას. | დაწერილია რამდენიმე წინადადება, საიდანაც აზრის გამოტანა შეუძლებელია. ან შეცდომა დაშვებულია ყოველ წინადადებაში. | 0 |

## გასწორებული თხზულების ნიმუშები

მოგვყავს თხზულების შეფასების რამდენიმე ნიმუში.

**Some people think that schoolchildren should take exams at the end of each year. Do you agree or disagree with this opinion? State your opinion and support it with reasons and examples. Write between 120-150 words.**

### ნიმუში A

*I agree with the statement that schoolchildren should take exams at the end of each year. I will state my opinion and support it with the appropriate arguments.*

*First of all, I think that when pupils know that there is an exam at the end of the school year they try not to miss classes and come always prepared and ready for the lesson. This naturally raises the standard of each person's education which enables them to be better citizens and in future serve well for their country.*

*The second reason to support my opinion is the readiness of the teachers as well to be more disciplined and prepared. They will know that exams results are connected with their work, which means that good teachers will be more willing to prepare their students well and this will help them to be modern and better professionals.*

*Finally, I want to reinforce my opinion that schoolchildren should take exams at the end of the year.*

Fluency: 8 ქულა

ნაწერი ძალიან კარგია. სრულად პასუხობს დავალებას. პირადი მოსაზრება მკაფიოდ და გასაგებად არის გადმოცემული. მსჯელობა არგუმენტირებულია. ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ლოგიკურია. ნაწერის მოცულობა ნორმაზე ოდნავ მეტია, რაც ნაკლად არ ითვლება.

Accuracy: 8 ქულა

ნაწერში გამოყენებულია რთული წინადადებები და კონსტრუქციები. ლექსიკა მდიდარია. შეცდომები – მინიმალური.

საბოლოო შეფასება: 16

### ნიმუში B

*I agree to the idea that schoolchildren should take exams at the end of each years. I will try to say why this is so. I think that when a child know that he has to take an exam he works much and does there lessons every day. This mean that the schoolchildren who are lazy will stop to be lazy and be more hard workers.*

*The second reason is that parnts which do not have many money will not take their children to other teachers and this will be good for their family's income as there is many families which do not have good jobs and so, do not have much money. And often, they also have other children.*

*In conclusion I think that it will be good if schoolchildren will take exams at the end of each year.*

Fluency: 5 ქულა

ნაწერი კარგია. პასუხობს დავალებას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ინფორმაცია და არგუმენტები არასაკმარისია. ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ძირითადად ლოგიკურია, თუმცა ზოგ შემთხვევაში მკითხველს ყურადღების დაძაბვა უხდება.

Accuracy: 4 ქულა

დაშვებულია 8 გრამატიკული შეცდომა, არასწორი გრამატიკული სტრუქტურების ჩათვლით. დაშვებულია ასევე მართლწერის რამდენიმე შეცდომება. ლექსიკა მარტივია.

საბოლოო შეფასება: 9

### ნიმუში C

*Exam is very important and good for schoolchildren. This develops their knowledge and this is also good for them. I like my school. It is big and old. It has four floors and a big yard. I go to school every day and sometimes we have exams. My favourite subject is Georgian history. Our country has a long history and many ancient historical monuments, also churches. I go to the church with my mother every Sunday. We have lessons in history two times a weak and I like my history teacher very much.*

*I think that schoolchildren should take exams at the end of each year.*

ნაწერი არ პასუხობს დავალებას და ფასდება 0 ქულით.

# საგამოცდო ტესტის ნიმუში

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 2 საათი და 15 წუთი.

## TASK 1

- **Read the statements. Then read the advertisements and find which statement corresponds to which advertisement. Next to each statement write a letter (A-H). Some advertisements correspond to more than one statement.**
- **Mark your answers on the answer sheet.**

1. Your friend wants to buy a small house where he can spend the weekends. The house should have a good view of the mountains and it should not take long to drive there. ______
2. Your elder brother is a writer and he often looks for information on the Internet. He wants to buy a flat which would be on the top floor and have a good Internet connection. ______
3. You love flowers. You would like to have a house or a flat which would have a nice garden with a lot of rare flowers in it. You prefer a quiet place far from the town centre. ______
4. Your father wants to buy a flat or a house which has a good view of the mountains. Your mother is a good cook and she insists on having a big kitchen. ______
5. You have decided to buy a house in the mountains and close to Tbilisi, which is heated by means of a big wood stove.
6. You are a cinema lover and never miss a chance to see a new film. Your parents are going to buy a flat and you are asking them to buy one near the cinema. ______
7. Your cousin has just got married. He is looking for a flat or a house which wouldn't cost him a lot. He wants to have just one bedroom and a fireplace in the flat. ______
8. Your neighbours have decided to buy a summer house in a seaside town. The house shouldn't be big and it should have a view of the sea. ______
9. Your sister is a historian and works in an open-air museum. She is looking for a flat or a house which would be close to the museum. ______
10. Your elder brother wants to buy a flat where he and his family could spend their summer holidays. He prefers a quiet place by the sea. ______
11. Your uncle has four small children and he and his wife both work. They want to buy a house which would not be in the centre and would have a kindergarten nearby. ______
12. Your relatives would like to buy a two-bedroom flat or house near a nice park where they could go with their small sons. ______

→ 8

*Special offers*

A.
We are offering a beautiful one-storey house on the outskirts of the city, with a view on a park with entertainment facilities for children. The house has two bedrooms, a living room and a small study. A beautiful small garden with exotic evergreen trees and flowers.

B.
Want to buy a house in the mountains? Our agency *The Winter Line* is here to help you. We are offering a small house just one hour's drive from Tbilisi. Good view of snowy peaks and large wood stove available. Newly- married couples might be interested. Contact us at: wl@win.ge

C.
We offer a four-room apartment in a newly built house in the centre. 120 sq. m. living space. Top floor with a good view of newly opened swimming pool and lots of cafes and small shops for adults as well as for children. Internet connection available.

D.
Want to buy a flat? Our agency *The Sun Lane* is here to help you. We have on offer a three-room flat in a block by the sea. Third floor. Quiet neighbourhood and a big park nearby. Good for sea-lovers and holiday makers. Kindergarten only fifteen minutes' drive away.

E.
On offer is a two-room apartment in the centre with a nice view of the mountains and the river. Ideal for a newly-married couple. Not fully furnished. One bedroom with a small closet, living room with a fireplace. No separate dining room. Good Internet connection.

F.
Looking for a house near the sea? Our agency *The Sunshine* is here to help you. We are offering a small single-storey house in the lively centre of Batumi. A small yard in the front with exotic subtropical flowers and evergreen plants. Good view of the sea.

G.
We offer a four-room flat in the lively centre of a seaside town, next to a newly opened movie-theatre. Top floor with a good view of a newly established open-air museum with lots of entertainment facilities for grown-ups and children. No Internet connection available.

H.
We are offering a three-storey house just out of town with a view of the mountains in the distance. The house has three bedrooms, a living room, and a spacious kitchen. Surrounded by a small garden though with no flowers so far. Good for family with children. Five minutes' walk to the nearest kindergarten.

## Task 2

❍ **Read the text. Then read the statements below and decide whether they are True (T) or False (F). Circle the right answer.**

❍ **Mark your answers on the answer sheet.**

**Everest - where the earth meets the sky**

Mount Everest, the highest peak in the Himalayas and the highest point on Earth, has many names. Tibetans call it Chomolungma, meaning 'Mother Goddess of the World' and the Nepalese call it Sagarmatha, meaning 'Goddess of the Sky'. Others call it the 'Roof of the World'. In English the mountain is named after a Wgeographer Sir George Everest, who lived between 1790-1866. George Everest was a scientist and a researcher, who for many years and despite numerous hardships, carried out geographical research about India and Nepal and drew maps of these territories.

The great Himalayas, the highest mountain range in the world, extend 2,400 kilometres along four countries of Asia: China, India, Nepal and Pakistan. Mount Everest, which is on the border of Tand Nis 8,848 metres high, almost twice as high as Mount Elbrus which, at 5,642 metres, is the highest point in the Caucasus Mountains and in Europe.

Everest, with its inspiring power and beauty, has always attracted courageous adventurers and climbers. George Mallory, a British climber, was the first to explore a practical route up the mountain in 1921. Later, in 124, Mallory and his climbing partner Adisappeared during their attempt to make the fup Everest. It was only after 75 years, in 1999, that Mallory's body was finally discovered by an expedition that had set out to search for the climbers' bodies. Whether or not Mallory and Irvine reached the summit of Everest before they died is still unknown and this is a subject of debate and continuing research.

Such unlucky histories never frightened brave climbers, among whom Sir Edmund Hillary, a New Zealander, and Tenzing Norgay from Nepal, were the luckiest. We say the luckiest, because they were the first to reach the summit of Everest in 1953. Since then more than two thousand and five hundred men and women have stood there. More than two hundred have died in attempts to make it to the top. They were all brave people who were not afraid of cold, hunger and death. In 1980 a famous climber Rein Hold Mesner reached the summit alone without oxygen. Before that, in 1963, Barry Bishop, from National Geographic, climbed Everest as a member of the First American Expedition. Each of these expeditions established new routes and produced better maps, thus making things easier for the next generations.

Nepal is both lucky and unlucky to have Everest on its territory. Lucky, because they have the 'Roof of the World' and unlucky because this 'Roof of the World' attracts too many tourists. The Nepalese people joke: 'We have three religions - Hinduism, Buddhism and Tourism. Tourism lays golden eggs but it spoils the nest'. The Nepalese realize that the Himalaya is much, much more than the highest point. It is true dazzling beauty and people have to take care of it.

1. Mount Everest has more than one name. .......... T F
2. The Nepalese and Tibetan names of Everest mean the same. .......... T F
3. George Everest climbed the mountain which was later named after him .......... T F
4. The Himalayas stretch through several Asian countries. .......... T F
5. Mount Elbrus is only slightly lower than Mount Everest. .......... T F
6. Mallory and Irvine didn't return home from their expedition to Mount Everest. .......... T F
7. There is no doubt that Mallory and Irvine got to the top of Everest. .......... T F
8. Hillary and Norgay were fortunate enough to climb the highest point on Earth .......... T F
9. More than 200 people have lost their lives while trying to reach the top of Everest. .......... T F
10. An American climber, Barry Bishop, followed the route taken by Mesner. .......... T F
11. Nepalese people think that tourism does some harm to their country. .......... T F
12. The text is about different routes to climb Mount Everest. .......... T F

## Task 3

❍ **Read the text. Then match the headings (A-H) with the paragraphs (1-6). There are two extra headings, which you do not need to use.**

❍ **Mark your answers on the answer sheet.**

A. Tourism brings income
B. Why have some animals disappeared?
C. More people, more pollution
D. Changing homes may cause problems
E. Travelling for hunting purposes
F. What puts animals in danger?
G. New home can be good
H. Expensive items

**Why are animals in danger?**

1. ____________________

A million years ago there were a lot more different kinds of animals than there are now. Since then, some animal species have disappeared because of natural accidents or climate change. But in the modern world animals aredisappearing because of various human activities and their behaviour which has a harmful effect on animals. Wecannot protect animals from environmental problems or changing weather, but we can think about our behaviour and change it when it does harm to animals.

2. ____________________

People do many things that are bad for animals. We put new buildings in parks or on riversides. We make new roads through forests. We divert rivers, so that they become dry, or make them flow in other directions. We cut down treesand take them away. And we do all these things without thinking about the animals that might live there. In fact, allthese activities put them in danger as they might be killed or harmed by what we have done.

3. ____________________

Sometimes we take animals from their natural home to another part of the country, the continent or even the world. In this new home, the animals that already live there do not know the new-comer and are not afraid of it. For this reason, when black rats were transported from Asia to the Galapagos Islands in the Pacific Ocean, they killed many different species of bird. This happened because the birds couldn't recognize rats as their enemies and didn't fly away. Those birds had always lived on the Galapagos Islands and they didn't exist anywhere else. But after the rats came, they disappeared for ever.

4. ____________________

Tourism can also be harmful to animals. Some visitors to new places like to take pictures of animals, but there are others who hunt and kill them. And they do not kill animals for food, but just because they like hunting. Tourists like to travel to exotic countries to see animals in their natural environment, but there are also people who visit these countries just to hunt and kill animals.

5. ____________________

In many countries people can also make a lot of money from animals. Elephants are killed because people want their ivory to make beautiful objects, such as ornamental figures and women's bracelets, that can be sold at a high price. Rhinoceroses die because their horns are very valuable. Many animals, like leopards for instance, are in danger simply because their coats are beautiful and some people would like to have them on the walls and the floors of their houses or even have bags and wear shoes made from their skin.

6. ____________________

The world's population is growing and the number of cities is growing too. Bigger populations and bigger cities produce more pollution. Pollution of the land, the water and the air is getting worse and worse. Our world is becoming a dirtier place every day and we are making it harder and harder for animals, and ourselves, to live in. And we are taking animals' homes away from them. When they have lost their homes, where can they go? Often the answer is 'nowhere'. And so animals die.

## Task 4

❍ **Read the text and the questions below. For each question, mark the letter next to the correct answer A, B, C or D.**

❍ **Mark your answers on the answer sheet.**

I'll never forget the day when my three school friends and I, all students of the Carl Hayden High School, beat some of the best schools in the country, including MIT - Massachusetts Institute of Technology - to win the national underwater robot championship. Looking back, I think it was the happiest day of my life! What makes this competition so unique for us is who we were competing with, what we were competing for and who won.

Our school had been invited to the University of Santa Barbara in California, to take part in the competition together with some of the top colleges and universities of the USA and Canada. The school that could build the best machine would be the winner. Many students came from schools which were able to give them lots of money and support for this particular competition. Our small team of four, however, had hardly any support and very little money which we had collected from people in our home town of Phoenix, Arizona. Our total budget ended up being just 800 USD, compared to 11,000 USD for the MIT team.

So we had to build our robot in a cheap way and in just three days. We used pipes, cameras, computer parts, off-the-shelf electronics and whatever we could find. We worked together day and night on the strange electric machine, strongly encouraged by our teacher Allan Cameron. In the end our machine looked like a very small submarine which was remotely operated from outside the swimming pool and which could move around a swimming pool and find objects 15 metres under the water and bring them to the surface.

The competition was held on a hot summer day in June, 2010. It was really a big day for all of us, four poor Mexican boys from Carl Hayden High School. The big moment finally arrived and we started our machine. When the students saw it some of them laughed. We had called our machine 'Stinky' because it had a very strong smell. But, when the competition started, they saw that Stinky was no joke. It did better than all the other machines, including MIT's, and it took first place in the competition. In addition to the top prize, we ended up with the awards for the best design and the best technical writing.

We were absolutely delighted. It was hard to believe we could do it, we could beat such a strong team as MIT traditionally has! We immediately became very popular all over the USA. People even offered us money for college, and a movie producer asked us if it was OK to make a movie to tell our story.

1. The article is about a great
   A. adventure.
   B. failure.
   C. achievement.
   D. experiment.

2. Carl Hayden boys won
   A. even though the other teams were better.
   B. despite little support and a limited budget.
   C. despite being the youngest participants.
   D. even though they were not very motivated.

3. How long did it take the boys to build the machine?
   A. Half a year.
   B. Just a few weeks.
   C. Several months.
   D. Just a few days.

4. The boys couldn't have achieved this without the special encouragement from
   A. their parents.
   B. their teacher.
   C. their friends.
   D. their fans.

5. The boys' underwater machine was
   A. controlled from outside the pool.
   B. controlled from the surface of the pool.
   C. built to move on the bottom of the sea.
   D. like an enormous submarine.

6. When the students saw the machine some of them
   A. were interested.
   B. were jealous.
   C. made fun of it.
   D. built the same one.

7. According to the author it was
   A. not a fair competition.
   B. easy to beat MIT.
   C. impossible to compete with MIT.
   D. very difficult to beat MIT.

8. Which of the following would be the best title for the article?
   A. Four unlucky Mexican boys
   B. Stinky: the underwater robot
   C. Carl Hayden boys beat MIT
   D. Carl Hayden School loses a competition

## Task 5

❍ **Read the text and fill the gaps with the words given below. Use each word only once. Two words are extra.**

❍ **Mark the corresponding letter (A-N) on the answer sheet. Do not copy the words from the text on the answer sheet.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| allowed | (A) | half | (F) | required | (K) |
| content | (B) | hurt | (G) | show | (L) |
| discussed | (C) | messages | (H) | search | (M) |
| either | (D) | officials | (I) | truthful | (N) |
| freedom | (E) | religions | (J) | | |

**American teenagers and freedom**

American teenagers' lives always appear to be so much fun in the movies. The USA is proud of its citizens' ……… (1). But just how 'free' are American teenagers? Personal freedom is a subject that is much ………. (2) in American schools as it affects their daily lives. Almost ……… (3) of all high schools have 'students' codes of conduct', which say that students cannot wear particular colours or particular kinds of clothes. For example, girls cannot wear short skirts and T-shirts which ………. (4) their stomachs. Teenagers don't feel free at schools ……… (5). School officials can ……… (6) students lockers - small private wardrobes - and see whether they keep guns and drugs in them. Many sportsmen are ………. (7) to have drug tests in order to prove they don't use drugs. Many books are not allowed to be taken from school libraries because of their …….. (8). School newspapers are also examined but this is usually to make sure they are not spreading …….. (9) of racism or hatred and to be certain that nobody is ………. (10) by a newspaper article. In American schools public prayer is not allowed as there are many students with different ………. (11). So American movies are not always …….. (12) enough.

## Task 6

❍ **Read the text and fill the gaps with one of the following: an article, a preposition, a conjunction or a relative pronoun. Note that in each space you should insert only ONE word.**

❍ **Write the answers on the answer sheet. Do not copy the words from the text on the answer sheet.**

**School dinners in Britain**

Everyone likes fresh meat and fruit sometimes, but …….. (1) British schools, kids eat junk food every day. This means big health problems …….. (2) the future. It's Monday lunch time in a school canteen. Kids are waiting for sausages, burgers ………. (3) chicken sandwiches. They walk past the salad, ……….. (4) they don't usually eat, and take chips. Other kids buy chocolate and coca-cola from a special machine. This is how school dinners are in Britain. Today's school dinners are high in fat ………. (5) low in vitamins. The result is ………. (6) the British kids are too fat and therefore often have health problems. Thirty-seven percent ……….. (7) 15-year-old kids are too heavy. They risk having health problems in the future. Jamie Oliver, a famous British chef, knows everything ………. (8) the problems related to eating unhealthy food. He has his TV programme called 'Jamie's School Dinners'. He goes ……… (9) schools and shows his programme to students. He often makes healthy food with the school cooks. British schools spend very little money ……….. (10) school meals and Jamie Oliver has asked ………. (11) Prime Minister to give him some money to provide schools with healthy meals. Now the British government has a 280 million pound budget………. (12) healthy meals at schools.

## Task 7

❍ **Read the texts and put the verbs in brackets in the correct form.**

❍ **Write your answers on the answer sheet. Do not copy words from the text on the answer sheet.**

Kate is my best friend and she (1) …………………….. (live) in New York. Last Sunday she decided to have a party. She (2) …………………….. (just/finish) school and wanted to celebrate the occasion with a big party. She invited all her friends and (3) ………………….. (buy) lots of food and drink. When the first guest rang the bell, Kate (4) …………………… (prepare) a pizza in the kitchen. She ran to open the door and suddenly (5) …………………….. (fall) over the bag of fruit, which she (6) …………………… (leave) in the hall, and (7) ………………….. (hurt) her leg badly. When at last Kate managed to open the door, she saw that her friend Donald (8) …………………… (stand) there. Kate and Donald (9) ………………….. (be) friends since they were ten years old. Donald looked at Kate's leg and face and said: 'You look terrible. I think you (10) …………………… (break) your leg. I would call the emergency service if I (11) ……………………. (be) you.' Kate didn't want to call the emergency service but Donald (12)………………. (insist) and soon Kate (13) …………………… (take) to the nearest hospital. Three hours later, when Kate left the hospital, she was walking on one leg as the other one (14) ……………… (bandage). All the friends she had invited to her house (15) ………………….. (wait) for her outside the hospital. When Kate remembers all this, she (16)………………. (wish) she didn't have this terrible experience.

## Task 8

❍ **Read the essay task and write between 120 - 150 words.**

Some people think that teaching is the best profession ever. Do you agree or disagree with this opinion? State your opinion and support it with reasons and examples.

შავი სამუშაოსათვის
ეს გვერდი არ გასწორდება!
საბოლოო ვარიანტი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე!

## ტესტის პასუხები

**Task 1:** 1.B 2.C 3.A 4.H 5.B 6.G 7.E 8.F 9.G 10.D 11.H 12.A

**Task 2:** 1.T 2.F 3.F 4.T 5.F 6.T 7.F 8.T 9.T 10.F 11.T 12.F

**Task 3:** 1.B 2.F 3.D 4.E 5.H 6.C

**Task 4:** 1.C 2.B 3.D 4.B 5.A 6.C 7.D 8.C

**Task 5:** 1.E 2.C 3.F 4.L 5.D 6.M 7.K 8.B 9.H 10.G 11.J 12.N

**Task 6:** 1.at/in 2. in 3.and/or 4.which/that 5.but/and 6.that 7.of 8.about 9.to 10.on 11.the 12.for

**Task 7:** 1. lives/is living 2.had (just) finished 3.bought 4. was preparing 5.fell 6.had left 7.hurt 8.was standing 9.have been 10. have broken 11.were/was 12.insisted 13.was taken 14.had been bandaged/was bandaged 15. were waiting 16.wishes

**ტესტი იბეჭდება გამოცდების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით**

კონკურსი

# „გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“

## გამარჯვებული ნამუშევრები

### ექიმბაშობა და სამკურნალო საშუალებები

**იდეის ავტორი – სოფიკო წულუკიანი**
**ხელმძღვანელი – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ეკა წულუკიძე**
**სკოლის დირექტორი – გულო ვიბლიანი**
**მესტიის რაიონის ფარის საჯარო სკოლა**

უძველეს დროში, სვანეთი კარჩაკეტილი კუთხე იყო, მას ნაკლებად ჰქონდა ურთიერთობა ბართან. შესაბამისად, სვანები იძულებული იყვნენ თავად ემკურნალათ. მათ საუკუნეთა მანძილზე დაკვირვებითა და გამოცდილებით გაამდიდრეს „საოჯახო აფთიაქი“, რომელიც სხვადასხვა მთის მცენარეებისაგან შედგებოდა.

ჭრილობის სამკურნალოდ დღემდე გამოიყენება მთის წვრილი გვიმრის მსგავსი მცენარე, რომელსაც ჩვენში „ნექეშე მელს“ უწოდებენ. „მელ“ სვანურად ბალახს ნიშნავს, ხოლო „ნექეშე“ ცალანების გვარის ერთ-ერთი შტო იყო, რომელიც დღეს ამომწყდარი შტოა. როგორც ჩანს, ბალახის სამკურნალო თვისებების აღმოჩენა ამ გვარის წარმომადგენელს ეკუთვნის. გადმოცემის თანახმად, ამ გვარის მამაკაცს მთაში ნადირობისას დიდი გველი დაუჭრია, გველი გაქცევია, მონადირე მის კვალს გაჰყოლია და უნახავს, რომ გველი ამ მცენარესთან მისულა და ბალახს იფენდა ჭრილობაში.

რამდენად სარწმუნოა ლეგენდა, ძნელი სათქმელია, მაგრამ მცენარე მართლაც ჭრილობის შესახორცებლად უებარი საშუალებაა. ეს მცენარე იცავს ჭრილობას ინფექციის შეჭრისაგან და დაჩირქებისაგან, ხოლო ჭრილობა ძალზე სწრაფად ხორცდება. ეს მცენარე გამოიყენება სიმსივნის სამკურნალოდ, ითვლება რომ ეს წამალი უხანგრძლივებს სიმსივნით დაავადებულს სიცოცხლეს, მას თაფლში აზავებენ და ისე ასმევენ ავადმყოფს. ბალახი მხოლოდ მთაში ხარობს, მას გვიმრის ფორმა აქვს, მხოლოდ წვრილი და დაბალია. მას აშრობენ ჩრდილში და გამხმარ მცენარეს დაფშვნიან და ფხვნილად ინახავენ.

მუცლის ტკივილისათვის გამოიყენებენ მთის ბალახის ძირებს, რომელსაც ღეჰის უწოდებენ. ძირებს კარგად გაწმენდენ, დაჭრიან და დაასხამენ მაგარ არაყს ისე, რომ ძირები დაიფაროს, შემდეგ დადგამენ ერთი თვე ბნელ ადგილას, მუცლის ტკივილის შემთხვევაში სვამენ ერთ ჭიქას და ტკივილიც მალევე ქრება.

ღეჰის აღმოჩენასთან დაკავშირებითაც არსებობს თქმულება, თითქოს ორი კაცი წასულა სანადიროდ, ერთ-ერთმა დაიძინა მინდორზე, მძინარეს პირში გველი ჩაუცურდა, მეორემ არ აგრძნობინა არაფერი და სანაძლეო შესთავაზა, თუ ვინ უფრო მეტს შეძლებდა ეჭამა ღეჰის ძირები, მართლაც დათანხმებულა ის კაცი და უჭამია ეს ძირები, ცოტა ხანში კაცს პირღებინება დაეწყო და გველი ნაკუწ-ნაკუწ ამოურწყევია. ამის შემდეგ ეს მცენარე ფართოდ გავრცელებულა მთელ სვანეთში.

ბავშვებში და ჩვილებში, მუცლის ტკივილის დროს, გამოიყენებენ დათვის ნაღველს. ყველა ოჯახში, სადაც ბავშვია, საოჯახო აფთიაქში მოიპოვება დათვის ნაღველი. როცა ჩვილს მუცელი სტკივა, დედა ერთ კოვზ რძეში გაურევს ცოტაოდენ ნაღველს და ასმევს ბავშვს, მუცლის ტკივილი მაშინათვე უყუჩდება. თუკი მონადირე შეძლებს დათვის მოკვლას, აუცილებლად ამოაცლის ნაღველს, რადგან ის ტკივილგამაყუჩებელი საშუალებაა.

გაცივებისას, სვამენ ცხელ რძეში გახსნილ თხის ქონს, ხოლო ფილტვების ანთებისას უებარ საშუალებად ითვლება მგლის ქონი. მგლის მოკვლის შემთხვევაში, მის ქონს გადაადნობენ და ინახავენ ქილებში, საჭიროების შემთხვევაში, ავადმყოფს ასმევენ დღეში ერთ კოვზ ქონს. ასევე იყენებენ ძლიერი ხველებისას.

სახსრების ტკივილისას გამოიყენება ბალახი, რომელსაც მელენი ქვია. მელენის ძირებს გაასუფთავებენ და გახეხავენ, გაშლიან ტილოზე, რომელსაც მტკივან ადგილას დაიდებენ. ამბობენ, ტკივილი მალევე ყუჩდება.

ნაღრძობის ან ძარღვის დაჭიმვის შემთხვევაში იყენებენ ცვილს. გრძელ ტილოს დააფენენ გახურებულ ღუმელზე და წაუსვამენ ცვილის ნატეხს. ცვილი დნება ტილოზე, შემდეგ თბილს ახვევენ ნაღრძობ ადგილას. გაცივებისას ტილო მაგრდება, მტკივან ადგილს მყარად აფიქსირებს და ტკივილსაც ამებს.

ფარის თემში ცხოვრობდა ექიმბაში ჩიჩო წულუკიანი, მან თავად გამოიგონა დამწვრობის წამალი, რომელმაც მალევე ჰპოვა აღიარება მთელ სვანეთში. დღესაც დიდი მადლიერებით ახსენებენ ამ კაცის საქმიანობას სხვადასხვა თემის წარმომადგენლები და მისი გადარჩენილები. მან ბევრი უიმედო მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, რომელთაც ძლიერი დამწვრობა ჰქონდათ, გადაარჩინა და განკურნა.

ერთხელ გადაურჩენია ქალი, რომელსაც სახისა და ყელის არეში მძიმე დამწვრობა ჰქონია. დამწვრობა იმდენად ღრმა ყოფილა ყელის არეში, რომ ხორხიც კი უჩანდა, ექიმები ვერაფერს ეუბნებოდნენ საიმედოს. მაშინ უხმეს ჩიჩოს და სთხოვეს, ხელი მოეკიდა პაციენტისათვის. ამ წამალმა მართლაც საოცრება მოახდინა, ერთ თვეში ავადმყოფი განიკურნა და ფეხზე დადგა. ექიმები გაოცებული იყვნენ წამლის სასწაულმოქმედი ძალით. ერთ-ერთი ექიმი იმ დროს სადისერტაციო ნაშრომს წერდა და გადაუწყვეტია ამ წამალზე დაეწერა. უთხოვია ჩიჩოსთვის, რომ გაემხილა მისთვის რეცეპტი, მაგრამ უარი მიუღია, მაშინ ექიმს ცოტაოდენი წამალი მოუპარავს და თბილისში წაუღია ლაბორატორიაში, მაგრამ იქაც ვერ დაადგინეს მისი შემადგენლობა.

ეს უნიკალური წამალი სრულიად შემთხვევით და უბრალოდ გამოიგონა. ერთხელ მისმა შვილმა დაიწვა ფეხი, ჩიჩომ თავს იდვა შვილის მკურნალობა და დაამზადა აღნიშნული წამალი. სავარაუდოა, მან წინაპრებისგან იცოდა მსგავსი წამალი, რომელიც გაამდიდრა სხვადასხვა მცენარეებით. მის წამალში ცხრა სახის ინგრედიენტია, ყველა მცენარე დამწვარია და დაფშვნილი, ერთგვარ შავ ფხვნილს წარმოადგენს. სანამ ამ ფხვნილს მოაყრიდა დამწვრობის ადგილზე, მანამ ამუშავებდა – ჯერ დაადებდა აყალო მიწას, რომელიც ჩვენთან მხოლოდ ერთ ადგილასაა. მიწა არ აძლევდა საშუალებას დამწვრობის ადგილზე ბუშტუკების წარმოქმნას, შემდეგ დამწვარ კანს ამოაჭრიდა და ზედ დააყრიდა აღნიშნულ წამალს, ხოლო ზევიდან, დოლბანდის ნაცვლად, ადებდა რძეში მოხარშულ თხილის ფოთლებს, ფოთლები არ ეკვროდა კანს, შემდგომი დამუშავებისას ადვილად ძვრებოდა და კანიც არ ღიზიანდებოდა.

დღეს ამ წამლის რეცეპტს მისი შთამომავლები ფლობენ.

ამ შემთხვევაზე დაყრდნობით, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ყველაზე კარგი ცოდნის წყარო დაკვირვება და გამოცდილებაა. იმ ფაქტს, რომ ჩვენი თემი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა საუკუნეების განმავლობაში, ხელი არ შეუშლია მისი მრავალმხრივ განვითარებისათვის, მათ შორის სამედიცინო კუთხითაც.

### მატყლის დამუშავება და მისი ყოფა-ცხოვრებაში გამოყენება

**იდეის ავტორი – ია ვიბლიანი, IX კლასის მოსწავლე**
**ხელმძღვანელი პედაგოგი – ეკა წულუკიძე**
**სკოლის დირექტორი – გულო ვიბლიანი**
**მესტიის რაიონის ფარის საჯარო სკოლა**

ფარის თემში მეცხვარეობა დიდად განვითარებულია, შესაბამისად, ცხვრის მატყლს დიდი გამოყენება აქვს ყოფა-ცხოვრებაში.

გაკრეჭის წინ, ცხვარს დაბანენ, შემდეგ გაკრეჭენ. ეს ხდება წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე. გაკრეჭილ მატყლს გარეცხავენ გამდინარე წყალში და მზეზე გადებენ გასაშრობად. მშრალ მატყლს ხელით დაპენტავენ, აფუმფულებულ მატყლს ჩეჩავენ სპეციალურ საჩეჩელზე და პატარა ფთილებს სათუთად ალაგებენ, რათა არ შეითელოს. გაჩეჩილ მატყლს დართავენ თითისტარით. როდესაც თითისტარი დამძიმდება ნართით, მეორე თითისტარს იღებენ და მასზე ართავენ იმავე რაოდენობის ნართს. შემდეგ ორივე ნართს შეატყუპებენ და გორგლად დაახვევენ, რომელსაც სპეციალური თითისტარის მსგავს მოწყობილობაზე დაგრეხენ, რათა ძაფი უფრო გამძლე იყოს. დაგრეხილ ძაფს გადაიტანენ ორკაპის მქონე მოწყობილობაზე, რომელზეც ძაფი იჭიმება და სწორდება. ამ მოწყობილობიდან მოხსნიან ძაფს და რეცხავენ საპნიან წყალში. საბოლოოდ დასრულებული ძაფის გორგლად დახვევა ხდება. დახვევისას სვანი ქალი აუცილებლად ერთ ლუკმა პურს უტნევს ძაფის გორგალს, ამ ჩვეულებას ძალინ სევდიანი ლეგენდით ხსნიან უფროსი ასაკის ქალები. ძველ დროში „დედას შვილი სთხოვდა პურს, დედას არ ჰქონდა საჭმელი, რათა შვილის შიმშილი დაეოკებინა, ცოდვით გული უსკდებოდა და გამოსავალი არ იყო. უცებ გაახსენდა, რომ ძაფის გორგალში უნდა ყოფილიყო ერთი ლუკმა პური და შვილი გაამხნევა, აი, ამ გორგალს მოვამთავრებ და პურის ნატეხს მოგცემო. როცა გადაახვია გორგალი, პური არ აღმოჩნდა და ბავშვი დაიღუპა“. ამ ამბის მერე დაწყევლილია ის, ვინც პურის ნატეხს არ ჩაუტნევს.

ასე დამუშავებული შალის ძაფისაგან ქალები წინდებსა და გრძელ მაისურებს ქსოვენ, რომლებსაც გასათბობის გარდა სამკურნალო დანიშნულება აქვს, მას მუდმივად ატარებენ ისინი, ვისაც წელის ტკივილი აწუხებს.

ასევე მატყლისაგან მზადდება სვანი კაცის იდენტურობისა და ვაჟკაცობის სიმბოლო – სვანური ქუდი.

შრომატევადი და ხანგრძილივი პროცესია სვანური ქუდის მომზადება. მაგიდაზე დებენ სველი ტილოს ნაჭერს, დაახლოებით, ერთი მეტრის სიგრძისა. ზედ აწყობენ დამუშავებული, გაჩეჩილი მატყლის ფთილებს, შემდეგ მოაპკურებენ წყალს და მრგვალ დიდ ჯოხზე დაგრაგნიან. ამ დაგრაგნილ მატყლს დიდხანს აგორავებენ, თელავენ, თან პერიოდულად გახსნიან ტილოს, დაასველებენ და ხელახლა მეორდება შეთელვის პროცესი. მატყლს მანამ თელავენ, სანამ თითოეული ფთილა ერთმანეთს მჭიდროდ არ მიეკვრება. კარგად გათელილად ითვლება, თუკი მზა ნაბადი წყალს არ გაატარებს. ამის შემდეგ ხისგან გამოთლილ სხვადასხვა დიამეტრის მქონე ყალიბზე ჩამოაცმევენ, ქუდის სიმაღლეზე შემოუჭერენ ბაწარს, 2-3 დღე ტოვებენ ყალიბზე, რათა გაშრეს და ყალიბის ფორმა მიიღოს. ბოლოს შემოაჭრიან ირგვლივ ბოლოებს, მხოლოდ სტანდარტულად, ქუდისთვის მიღებულ ზომაზე ტოვებენ სიმაღლეს. უკვე გამოჭრილ და შესწორებულ ქუდს ირგვლივ ნაპირებს შავი ან სხვა ფერის ძაფით ლამაზად შემოაკერებენ, შემდეგ 2-3 სმ-ით ზემოთ კვლავ შემოავლებენ ძაფს და ამ რკალიდან ქუდის თავზე ხდება ძაფის გადაჯვარედინება, რომელსაც დასრულებისას ჯვრის ფორმა აქვს.

სვანურ ქუდს სამკურნალო დანიშნულება აქვს – წნევას არეგულირებს. ასევე ერთი უცნაური თვისება აქვს, კარგად შეთელილ და გაკეთებულ ქუდში წყალს რომ ჩაასხამენ, არ ატარებს, როგორც კი არაყს ჩაასხამენ, არაყი გამოჟონავს.

ჩვენს თემში, დღეს, ქუდების განთქმული მკეთებლები დადეშქელიანების ოჯახის ქალები არიან.

### სვანური სამართალი

**იდეის ავტორი – სალომე რეზესიძე**
**ხელმძღვანელი – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ეკა წულუკიძე**
**სკოლის დირექტორი – გულო ვიბლიანი**
**მესტიის რაიონის ფარის საჯარო სკოლა**

სვანური სამართალი მრავალ საუკუნეს ითვლის, ის ყალიბდებოდა და მტკიცე საფუძვლებს იქმნიდა ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როდესაც სახელმწიფოში არ არსებობდა არავითარი სამართლებრივი დოკუმენტი. ამ დროს კი, მთაში იქმნებოდა ისეთი მკაცრი, დაუწერელი სამართლებრივი ნორმები, რომელიც განსაზღვრავდა საზოგადოების ზნეობრივ და მორალურ პრინციპებს. სვანეთის ერთ-ერთი ულამაზესი და კულტურულად დაწინაურებული სოფელია ფარი, რომელიც ოდითგანვე გამოირჩეოდა თავისი მკაცრი სამართლებრივი ნორმებით.

თემში მოქმედებდა 12 ნაფიცმსაჯულის ინსტიტუტი, სვანურად მას „ეშდიორი მორევ მარე“ ეწოდებოდა. ისინი წყვეტდნენ თემის სამართლებრივ საკითხებს და ასამართლებდნენ დამნაშავეს. ნაფიცმსაჯულებად ირჩეოდნენ თემში გამორჩეული ავტორიტეტის მქონე ადამიანები. მათ უნდა დაეფიცათ ჩვენს სოფელში არსებულ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში დაბრძანებულ სასწაულმოქმედ ხატზე (დაფიცება ყოველთვის ამ ხატზე ხდებოდა), რომ იქნებოდნენ სამართლიანები და მიუკერძოებლები. ფიცის დადების შემდეგ, ნაფიცმსაჯულები ისმენდნენ სარჩელს, მათ ევალებოდათ, ორივე მხარისთვის მოესმინათ და სამართლიანი გადაწყვეტილება მიეღოთ. ყველა გადაწყვეტილება მიიღებოდა სვიფის წმინდა გიორგის ეკლესიაში.

ძალიან საინტერესოა ერთი სამართლებრივი ნორმა, რომელიც უშუალოდ ბიბლიური მოწოდების გამოძახილია. ეს არის „ლაგნაჟი ლიგნე.“ ის გამოიყენებოდა, ძირითადად, ორი მოქიშპე მხარის შესარიგებლად. თუკი რომელიმე მხარე შერიგების სურვილს გამოთქვამდა, დამნაშავეს უნდა დაეფიცა წმინდა გიორგის სასწაულმოქმედ ხატზე, რომ თუ იგივე ქმედება მის მიმართ იქნებოდა განხორციელებული (ამ შემთხვევაში – დაზარალებულის მხრიდან), ის აპატიებდა დანაშაულს და შეურიგდებოდა მას. თუკი დამნაშავის საძმო მასთან ერთად აღნიშნულ ფიცს დადებდა, მოქიშპე მხარეები რიგდებოდნენ და ორივე მხარის მიერ იდებოდა ფიცი, რომ შუღლს არასდროს გაიხსენებდნენ.

თემში იყო დანაშაული და იყო შესაბამისი სასჯელი. არსებობდა მეთოდები, რომლის საშუალებითაც ხდებოდა დამნაშავის პოვნა. ეს, ძირითადად, იყო ხატზე დაფიცება.

ეჭვმიტანილი, რომელსაც ამა თუ იმ დანაშაულისთვის ედებოდა ბრალი, ვალდებული იყო, მისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, ხატზე დაეფიცა. ბრალმდებელი არჩევდა ბრალდებულის თემიდან ერთ მამაკაცს, რომელიც თავდებად უნდა დასდგომოდა ბრალდებულს და თავადაც დაეფიცა ხატზე. მას შეფიცული თანამოძმე ეწოდებოდა. თუკი ბრალდებული ან მისი შეფიცული თანამოძმე უარს იტყოდნენ ხატზე დაფიცებაზე, ეს ავტომატურად ნიშნავდა, რომ ის დამნაშავე იყო და აუცილებლად დაისჯებოდა შესაბამისი ზომებით.

სასჯელი განისაზღვრებოდა დანაშაულის სიმძიმით. არსებობდა დასჯის რამდენიმე ფორმა, დანაშაულის შესაფერისად.

მკვლელობისთვის განსაზღვრული იყო „წორი,“ რომელიც მკვლელს ავალებდა მოკლულის ოჯახისთვის გადაეხადა 60 ძროხა იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილის თემი სისხლის აღებაზე უარს იტყოდა. დამამძიმებელი გარემოებების შემთხვევაში, წორის საფასური იზრდებოდა.

არსებობდა აგრეთვე დასჯის ფორმები – „ათსიშ“ და „ჰიბარი.“

თუ ერთი ადამიანი მეორეს დაჭრიდა, დანაშაულის ჩამდენი ვალდებული იყო, იმდენი თუმანი გადაეხადა დაზარალებულისთვის, რამდენი ხორბლის მარცვალიც ჩავიდოდა ჭრილობაში. ამ გადასახადს „ათსიშ“ ეწოდებოდა.

ხოლო ქურდობის დროს, ქურდის აღმოჩენის შემთხვევაში, მას ნაქურდალი უნდა დაებრუნებინა გაორმაგებული სახით. ამას „ჰიბარი“ ეწოდებოდა.

საინტერესოა, თუ როგორ ისჯებოდა თემის შემარცხვენელი. შერცხვენაში იგულისხმებოდა რაიმე უკადრისი საქმის ჩადენა, იქნებოდა ეს ფიზიკური თუ მორალური. თუ დანაშაული მძიმე იყო და საფრთხეს უქმნიდა თემის ღირსებას, ნაფიცმსაჯულთა საბჭო იღებდა დასჯის უმაღლესი ფორმის გამოყენების გადაწყვეტილებას, ეს იყო თემიდან მოკვეთა. თემს შორდე-

## კონკურსი

ბოდა არა მარტო დამნაშავე, არამედ მთელი მისი ოჯახი. უკეთეს შემთხვევაში, მოკვეთილ ოჯახს უფლება ეძლეოდა, დარჩენილიყო სოფელში, მაგრამ ის ვერ მიიღებდა მონაწილეობას ვერანაირ სათემო საქმეში, ამ ოჯახთან ურთიერთობა ეკრძალებოდა ყველას. უარეს შემთხვევაში კი, დამნაშავე ოჯახთან ერთად უნდა აყრილიყო სოფლიდან, მათ აძევებდნენ სამუდამოდ, სახლ-კარს კი წვავდნენ.

ეს წესები ემსახურებოდა როგორც დამნაშავის დასჯას, ასევე თავის დაზღვევას შემდგომი განმეორებისგან. სწორედ ამ მკაცრი ნორმების დამსახურებაა, რომ კავკასიონის კალთებზე შეფენილი ეს ულამაზესი სოფელი დღემდე ინარჩუნებს ღირსებას და პატიოსნებას.

### ქრისტე ლიდბაშელი

**იდეის ავტორი – ზაზა კვიციანი, IX კლასის მოსწავლე**
**ხელმძღვანელი პედაგოგი – ეკა წულუკიძე**
**სკოლი დირექტორი – გულო ვიბლიანი**
**მესტიის რაიონის ფარის საჯარო სკოლა**

ქრისტე ლიდბაშელი საერთო სახალხო დღესასწაულია, რომელიც მხოლოდ ფარის თემში იმართება. ეს დღესასწაული უძველესი დროიდან არსებობს ჩვენში. არავის ახსოვს, როდის დაედო სათავე ამ დღეს, ის თაობიდან თაობას გადაეცემოდა და დღემდე აგრძელებს არსებობას.

დღესასწაული მოძრავია, აღდგომის მომდევნო შაბათს აღინიშნება. როგორც ჩანს, ეს რელიგიური დღესასწაული საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას უკავშირდება. ამ დღეს დიდი ლოცვა ტარდება, ქრისტეს ევედრებიან მოსავლის სიუხვეს, ბარაქასა და მშვიდობას, იკვლება საკლავი, რომლის გულ-ღვიძლს შესწირავენ უფალს.

სახელწოდება – „ქრისტე ლიდბაშელი“ განიმარტება, როგორც ქრისტეს ხელგაშლილობა.

რა თქმა უნდა, ამ დღესასწაულმა დროთა განმავლობაში სახე იცვალა, მაგრამ საერთო სახე მაინც შენარჩუნებული აქვს. ძველად ამ დღეს ბალს ქვემო სვანეთის სოფლებიდან ხალხი იკრიბებოდა ფარის, ანუ მაჟიბჩუს თემში (ჩვენი თემის ისტორიული სახელია მაჟიბჩუ) და ჩვენს თემში არსებულ ყველა ეკლესიას მოილოცავდნენ. დაკლავდნენ საკლავს და გულ-ღვიძლს შესწირავდნენ, ხოლო ხორცს ხარშავდნენ და სტუმრებს უმასპინძლდებოდნენ საღამო ჟამს, როცა დღესასწაული დასასრულს მიუახლოვდებოდა. ლოცვის დამთავრებისთანავე ხალხი სოფლის შუაგულში იკრიბებოდა და იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები: დოღი, ჭიდაობა, მძლეოსნობა, ხტომა, ქვის ტყორცნა. ფარის თემის ვაჟკაცები ცდილობდნენ, პირველობა არავისთვის დაეთმოთ და ღირსეულად დაეცვათ თემის სახელი.

დღეს, ამ დღესასწაულზე ძველებურად იკრიბება ფარის თემში ბალს ქვემოთ სვანეთის მოსახლეობა. იკვლება საკლავი, ყველა ოჯახს გამოაქვს სეფისკვერები და ზედაშე, ტარდება ლოცვის რიტუალი სოფლის მაცხოვრის ეკლესიაში. ამის შემდგომ ხალხი სკოლის მოედანზე გადაინაცვლებს და იწყება სპორტული შეჯიბრებები.

შეჯიბრი იხსნება დოღით, სხვადასხვა სოფლის მხედრები აჯიბრებენ თავიანთ ცხენებს გამძლეობასა და სისწრაფეში. დოღს მოჰყვება ჭიდაობა. ასპარეზობის ყველაზე დაძაბული მომენტი ჭიდაობაა. ჭიდაობა იმართება სხვადასხვა ასაკსა და წონით კატეგორიაში. თამაშდება თასი, მოჭიდავეები ამ თასისთვისა და სახელისათვის იბრძვიან. შემდეგ – მძლეოსნობა, ხტომა ადგილიდან თუ სამმაგი, ბადროსა და ბირთვის ტორცნა, ხოლო ბოლოს შეჯიბრი ფრენბურთში, რომელშიაც ასევე თამაშდება გარდამავალი თასი.

ფარის თემის დიდ სირცხვილად ითვლება, თუკი ახალგაზრდები სპორტული შეჯიბრების უმეტეს სახეობაში წააგებენ, ამიტომ ისინი თავს არ ზოგავენ გამარჯვების მოსაპოვებლად.

ამ დღეს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლისთვის. სწორედ ეს დღესასწაული მეტყველებს უძველესი დროიდან ჩვენი თემის ისტორიულ-კულტურულ დაწინაურებაზე, სწორედ ამ დღესასწაულზე ხდებოდა ჩვენი თემის უპირატესობის, ვაჟკაცობისა და ძალის დემონსტრირება.

ფარელი დღესაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ტრადიციას და ჩვენი თემის ახალგაზრდები ცდილობენ, ღირსეულად იარონ წინაპართა ნაკვალევზე.

### ოქროს მოპოვება

**იდეის ავტორი – ლადო წულუკიანი**
**ხელმძღვანელი – ქართული ენისა დალიტერატურის პედაგოგი ეკა წულუკიძე**
**სკოლის დირექტორი – გულო ვიბლიანი**
**მესტიის რაიონის ფარის საჯარო სკოლა**

როგორც ისტორიკოსები გვამცნობენ, სვანეთში მოპოვებულ ოქროს უკავშირდება მითი არგონავტების შესახებ. სვანეთის მდინარეებს ოქრონარევი ქვიშა მოჰქონდა. ადგილობრივი მოსახლეობა ცხვრის ტყავით მოიპოვებდა ოქროს. სვანების მიერ ოქროს მოპოვების შესახებ იცოდნენ ძველმა ბერძნებმა და რომაელმა მწერლებმა. არგონავტებიც ოქროს საწმისის, მატყლიანი ვერძის მოპოვების სურვილმა მოიყვანა კოლხეთის სამეფომდე, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო სვანეთი. კოლხეთის სამეფოსა და მეფე აიეტს ოქრო სვანეთიდან მიეწოდებოდა.

ამდენად, სვანეთში უძველესი დროიდან ფლობდნენ ოქროს მოპოვების ტექნოლოგიას. მდინარე ენგური უდიდესი საბადოა ოქროსი, მას ოქრონარევი ქვიშა მოაქვს, საიდანაც ოქროს იღებენ.

ოქროს მოპოვება გვიან შემოდგომაზე იწყება, როცა წყალი კლებას იწყებს და მთელი ზამთარი გრძელდება. ოქროს მაძიებელი რთულ და მძიმე პირობებში მუშაობს, ის ძალიან მარტივი ხელსაწყოებით მოიპოვებს ოქროს. საშუალო ზომის ხის ღარში ჩააფენს ცხვრის გაკრეჭილ ტყავს, შეუდგამს მდინარეს და მასში ნიჩბით ყრის მდინარიდან აღებულ ქვიშას, გამდინარე წყალი ქვიშას რეცხავს, ხოლო პაწაწინა ოქროს ნამცეცები ცხვრის ტყავზე რჩება, საიდანაც შემდეგ ხელით აკრეფს მაძიებელი. დღეში დაახლოებით 2-3 გრამს პოულობენ.

ფარის თემის შემადგენლობაში შედის ენგურისპირა სოფელი ლუჰა, სადაც ოქროს ისევ უძველესი ტექნოლოგიით მოიპოვებენ.

ჟამთა ცვლის მიუხედავად და კაცობრიობის ტექნიკური წინსვლისა, სვანეთმა შეუნარჩუნა ჩვენს ისტორიას უტყუარი საბუთი იმისა, რომ მითი არგონავტებზე მხოლოდ მითი არაა და ის ქართველი ერის ისტორიული წარსული და კულტურაა. ეს ის შემთხვევაა, როცა მითი და რეალობა შერწყმულია და მითის ნამდვილობა დასტურდება.

# ექვთიმე თაყაიშვილი

## ქართველი ერის მარადიული ორიენტირი

„ხმა ღვთისა – ხმა ერისაო“ – ნათქვამია და ამიტომ, სამშობლოს სადარაჯოზე დგომა ღვთის კაცობაცაა და დიდი ადამიანობაც, ეს კი ყველას როდი შეუძლია... დღემდე გაოცებასა და აღტაცებას იწვევს ჩვენში დიდი ქართველისა და საამაყო მამულიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის პიროვნება, მისი ღვაწლი სამშობლოს წინაშე, ამიტომაც უკვდავყო ეს პიროვნება ქართველობამ ისტორიულ ხსოვნაში, ეკლესიამ კი წმინდანად შერაცხა.

წელს, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავს აღვნიშნავთ, საჭირო გახდა კიდევ ერთხელ გადაგვევლო თვალი მისი ცხოვრების გზისათვის, გაგვეგო და გაგვეზიარებინა ის ტკივილი, რაც მან გადაიტანა. ამასთან ერთად, გვეგრძნო დიდი სიამაყეც, რასაც თავად განიცდიდა იმით, რომ იყო ქართველი, დაიბადა იმ ქვეყანაში, რომელსაც დიდი კულტურული ფასეულობები ჰქონდა, რასაც შენახვა და გაფრთხილება სჭირდებოდა, სწორედ მის დაცვას შეალია საკუთარი სიცოცხლე.

ჩვენ, ნ. ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები, ვიცნობდით ექვთიმე თაყაიშვილს, როგორც მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, სამშობლოს განძის უბადლო მცველს, ამიტომ დიდი სიხარულით ჩავერთეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში – „რა ვიცით ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ“. გადავწყვიტეთ, პროექტი მოგვემზადებინა და მისი ღვაწლი თანამემამულეთათვის გაგვეცნო.

პროექტში მონაწილეობდნენ: **სალომე ჯაბადარი** (IXკლასი), **მარიამ ძამუკაშვილი** (X კლასი), **მაგდა საგინაშვილი** (X კლასი), **ლანა დრეიძე** (X კლასი), პროექტის ხელმძღვანელი – ისტორიის პედაგოგი **ლალი კოხტაშვილი**.

აღნიშნულ პროექტში ჩვენმა სკოლამ პარტნიორად აირჩია აზერბაიჯანული სოფლის, ლამბალოს სკოლა (დირექტორი – **დავით როსტომაშვილი**), რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს და აქტიურად შევუდექით მუშაობას. პირველი ეტაპისათვის, საჭირო გახდა დოკუმენტური, ლიტერატურული და აუდიომასალის მოგროვება, რისთვისაც ჩვენ, პროექტის მონაწილეები, ვესტუმრეთ სკოლის, რაიონულ და საბავშვო ბიბლიოთეკებს, სადაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს, მოგვაწოდეს მასალა, რომელსაც არ ვიცნობდით. კმაყოფილები დავბრუნდით საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდანაც, სადაც მოვიძიეთ ცნობები ექვთიმე თაყაიშვილის მომვლელ **მანანა მჭედლიშვილზე**, რომელიც ჩვენს რაიონში ცხოვრობდა.

ინფორმაციის სრულყოფის მიზნით, ვესტუმრეთ ისტორიკოს **ალექსანდრე ელერდაშვილს**, რომელთანაც ჩავწერეთ ინტერვიუ ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის შესახებ. იგი გვესაუბრა ექვთიმე თაყაიშვილზე, გაგვაცნო მისეული ხედვა, რაც სრულიად ეთანხმება საზოგადოებრივ აზრს იმის შესახებ, რომ ექვთიმე ის უიშვიათესი პიროვნება იყო, რომელიც დღემდე სამაგალითოა თითოეული ქართველისათვის.

ჩვენ, საგარეჯოს მე-2 სკოლელებმა ლამბალოს სკოლის მოსწავლეებთან ერთად დავგეგმეთ ვწვეოდით თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმს, რაც წარმატებით განვახორციელეთ. ექსკურსიისას თან გვახლდნენ ჩვენი სკოლის დირექტორი **ლელა ფანოზიშვილი**, პროექტის ხელმძღვანელი **ლალი კოხტაშვილი**, ასევე ლამბალოს სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი **ავთო ქვლივიძე**, თავის მოსწავლეებთან – **ელვინ საფაროვი, ოსმან ბაირამოვი, მახმად ომაროვი, იუნუს გასანოვი, გალიგ მამედოვი** და **ელდანის ალახვედოვი** – ერთად. მოვინახულეთ მუზეუმი, სადაც დაცული იყო ექვთიმეს ფოტოები, რომლებზეც ქრონოლოგიურადაა ასახული მისი ცხოვრების დეტალები: ბავშვობის, ზრდასრულობისა და მოხუცებულობის ხანა ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებში. ჩვენთვის საინტერესო იყო ლევილში გადაღებული ფოტო თხასთან, რომელიც მას ძნელბედობის ჟამს ასაზრდოებდა. ვიხილეთ ექვთიმეს ხატი, რომელიც მისი წმინდანად კურთხევის შემდეგაა დაწერილი.

მუზეუმის საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარე, ქალბატონი **ნინო მამარდაშვილი** დაწვრილებით გვესაუბრა ექვთიმეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. იქ ნანახი და განცდილი კი, ჩვენ და ლამბალოს სკოლის მოსწავლეებმა ერთმანეთს მუზეუმის საპრეზენტაციო დარბაზში გავუზიარეთ. დამშვიდობებისას, მუზეუმის თანამშრომელმა საჩუქრად გადმოგვცა წიგნი ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ.

ამის შემდეგ, საბოლოოდ შევაჯერეთ მასალა და პროექტის სახე მივეცით. დავბეჭდეთ ბუკლეტები, რომლებიც უშუალოდ საგარეჯოში გავავრცელეთ და ლამბალოელ ბავშვებსაც გადავეცით, რათა გაევრცელებინათ და გაეცნოთ ექვთიმე თაყაიშვილის პიროვნება აზერბაიჯანელი საზოგადოებისათვის, რომლებიც ტერიტორიულად მოწყვეტილნი არიან ქართულ მოსახლეობას და, შესაბამისად, ქართულ კულტურას სათანადოდ არ იცნობენ.

ჩვენი პროექტით კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი სასიქადულო ადამიანის, დიდებული მოღვაწის ცხოვრების ნაცნობ თუ უცნობ დეტალებს, გავიხსენეთ მისი ღვაწლი და შევეცადეთ, გაგვეცნო საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელთაც მცირე წარმოდგენა ჰქონდათ მასზე.

გაივლის წლები და მომავალი თაობები კვლავაც შეეცდებიან, იპოვონ ექვთიმეს ქმედების სათავე, ღერძი, რომელიც მართავდა მის პატრიოტულ იდეებს, თუმცა ასეთი თავდადება ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ბოლომდე ამოუცნობი დარჩება, რადგან ეს მხოლოდ ექვთიმეს შეეძლო, მან პოვა მისი ამქვეყნად მოვლინების აზრი და ღვთით დაკისრებული მისიაც პირნათლად შეასრულა.

**გიორგი ესაიაშვილი**
*საგარეჯოს მე-2 საჯარო სკოლის*
*VII კლასის მოსწავლე*



მოსწავლე შემოქმედი

# ერთი აზერბაიჯანელი ბიჭის ოცნება

**ელჩინ ასკეროვი** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეა... მორიდებული, მოკრძალებული... თავის აზრებს და ოცნებებს ნახატებსა და მაკეტებში გადმოგვცემს.

ხატვა ბავშვობიდან დაიწყო, ჯერ კიდევ სულ პატარას, სილაში თამაშისას, ჯოხით გამოჰყავდა სხვადასხვა ფიგურები, თუმცა ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. სკოლის მერხზე კი ფანქარმა შეცვალა ჯოხი. ახლა მორცხვად საუბრობს თავისი გატაცების შესახებ. თავიდან მხოლოდ მანქანებს ხატავდა შავი უბრალო ფანქრით. დღეს კი მისი საყვარელი ფერი წითელია. როგორც ამბობს, წითელი სიყვარულის და სიხარულის ფერია. იმდენად არის გატაცებული ხატვით, რომ მასზე არ მოქმედებს ხელისშემშლელი ფაქტორები – ხმაური, მუსიკა. გარშემომყოფთაც კი ვერ ამჩნევს. თავისი სამყარო აქვს, სადაც სხვისთვის შეღწევა ძალიან რთულია. ერთი პატარა საიდუმლოც გამიმხილა – ხატვის წინ უყვარს სეირნობა, თითქოს რაღაცას ეძებს ამ დროს.



ელჩინი ზედმეტად სიტყვაძუნწია. ამიტომ აქტიურობენ მისი მეგობრები. სწორედ მათ გადაიღეს ტელეფონით ელჩინის დამზადებული ქალაქის მაკეტი. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ვთხოვე, მოეყოლა ქალაქის შექმნის ისტორია, რომელსაც თვითონ „მომავლის ქალაქი" უწოდა და რომლის შექმნაზეც 4 თვე დაუღალავად მუშაობდა.

საუბრიდან გავიგე, რომ ელჩინი ხშირად უყურებს ერთ-ერთ თურქულ არხს, სადაც აჩვენებენ ქალაქების, სახლების მაკეტებს და პირდაპირ ეთერში ხატვასაც ასწავლიან. ერთ-ერთ გადაცემაში მაღალსართულიანი სახლის მაკეტი ნახა და იმდენად მოეწონა, რომ გადაწყვიტა თვითონაც გაეკეთებინა. მოიძია საჭირო მასალა – უბრალო ქაღალდი, ფანქრები, პლასტილინი და შეუდგა საქმეს, მაგრამ მუშაობის პროცესში ჩანაფიქრი შეიცვალა – 4 თვის დაუღალავი შრომისა და მტკიცე ნებისყოფის შედეგად შეიქმნა „მომავლის ქალაქი", რომლის დამთავრებასაც თვითონაც დიდი მოთმინებით ელოდა.

გარდა ამისა, ძალიან უყვარს ეროვნული ხალხური სიმღერები; თავისუფალ დროს კითხულობს რელიგიურ ლიტერატურას და ღიმილით ამბობს: ღმერთი დედამიწაზე ერთია, მხოლოდ სახელია სხვადასხვაო. აპირებს შეისწავლოს არაბული, რადგანაც სურს ორიგინალში წაიკითხოს ყურანი, თუმცა სურს ქართულიც ისე ისწავლოს, რომ ბიბლიის წაკითხვა შეძლოს.

მისი ოცნებაა იმოგზაუროს ეგვიპტეში და საკუთარი თვალით ნახოს პირამიდები. დაინტერესებულია კოსმოსით, რაც მის ნახატებშიც და მაკეტშიც ჩანს. თუმცა, ეს უფრო შორეული პერსპექტივაა, უფრო ახლო სურვილი კი, სწავლის გაგრძელება და ხელოვნების საიდუმლოს დაუფლებაა.

მე, როგორც რიგით პედაგოგს, მინდა გზა დავულოცო პატარა მხატვარს და მომავალში დიდი შემოქმედებითი გზის გავლა ვუსურვო.

**მადონა გულაღაშვილი**
*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლის პედაგოგი*



ქველმოქმედება

# უდიდესი მეცნიერებაა, იყო ბრძენი, ხოლო უდიდესი სიბრძნეა, იყო კეთილი

თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში (დირექტორი – **ამირან ჯამაგიძე**), მარტის თვე ქველმოქმედებას მიეძღვნა. ყოფილი მოსწავლის – **გიორგი ყორღანაშვილის** დასახმარებლად საქველმოქმედო ღონისძიებების მთელი ციკლი ჩატარდა. 31 მარტს, გალერეა „შარდენში", ქართველი მხატვრების სურათების გაყიდვა მოეწყო, შემოსული თანხა გიორგი ყორღანაშვილს გადაეცა. ამ იდეის ავტორი გიმნაზიის დირექტორის მოადგილე, ქალბატონი **მაია აფხაიძე** გახლავთ. 2 აპრილს კი, თსუ სააქტო დარბაზში კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებმა, ქართული სცენის პროფესიონალ მომღერლებთან ერთად, საქველმოქმედო კონცერტი გამართეს.

უკვე ტრადიციად იქცა სათნოების სახლის „კათარზისი" მოხუცებისათვის დახმარების აღმოჩენა. წელს გიმნაზიამ გადაწყვიტა საქველმოქმედო სპექტაკლების ჩატარება მოსწავლეების მონაწილეობით. ამისათვის შეირჩა ორი სპექტაკლი – მეოთხეკლასელების მიუზიკლი „ჩხიკვთა ქორწილი" (კლასის ხელმძღვანელი – **ეკა მესხი**) და მესამეკლასელების ზღაპარი „ლურჯი მელა" (კლასის ხელმძღვანელი – **თამარ ბზიკაძე**). ორივე სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა გიმნაზიის მუსიკის მასწავლებელმა **ნინო ჯულაყიძემ**. 30 მარტს მოსწავლეებმა სპექტაკლები მოზარდ მაყურებელთა თეატრში ითამაშეს, ეს დღე მათთვის დაუვიწყარი იყო. იდგე იმ სცენაზე, სადაც პროფესიონალი მსახიობები თამაშობენ, დიდი ბედნიერებაა, რისთვისაც დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ თეატრის დირექტორს, ბატონ **დიმიტრი ღვთისიაშვილს**. მშობლების ინიციატივით შეგროვილი თანხის ნაწილი „კათარზისს" გადაერიცხა. 31 მარტს გიმნაზიის მეექვსეკლასელები მოხუცებს სადილზე მოემსახურნენ.

ღონისძიებების იდეის ავტორი და ორგანიზატორია გიმნაზიის დაწყებითი საფეხურის სწავლა-სწავლების პროცესების კოორდინატორი **ეთერ სარალიძე**.

კაცი არასოდესაა იმაზე მაღალი, ვიდრე მაშინ, როდესაც მუხლს მოიყრის ბავშვის დასახმარებლად. კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებმა შარშან ბედიანის სახლის აღსაზრდელებს უმასპინძლეს. წელს თავად ეწვევიან ბედიანს და აღსაზრდელებს საჩუქრებსაც გადასცემენ.

**მარიკა ბენიძე**







ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >